

რეგლამენტი

მომხსენებელს — 10 წუთი
მსჯელობაში მონაწილეს — 3 წუთი

რედაქტორები — **ავთანდილ არაბული**
თამარ ვაშაკიძე

©არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

მუშაობის გეგმა

14 ივნისი, 12 საათი

საიუბილეო სხდომა

შესავალი სიტყვა — ინსტიტუტის დირექტორი ლ. ეზუგბაია

მოხსენებები:

ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება — ხელმძღვანელი
გ. კვარაცხელია

ქართველურ ენათა განყოფილება — ხელმძღვანელი გ. გო-
გოლაშვილი

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება — ხელმძღვა-
ნელი ვ. შენგელია

ლექსიკოლოგიის განყოფილება — ხელმძღვანელი მ. დლონტი

ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება — ხელ-
მძღვანელი თ. ვაშაკიძე

**სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების
განყოფილება** — ხელმძღვანელი ლ. ქაროსანიძე

**ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყო-
ფილება** — ხელმძღვანელი მ. ბერიძე

მისალმებები

მოგონებები

15 ივნისი, 11 საათი

- თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, სუბიექტის სიმრავლის ჭარბად აღნიშვნისათვის აქტივთა და მედიუმთა ფორმებში
- მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, რეფლექსურობა ორაქტანტიან გარდამავალ ზმნებში
- ნ. ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე, ავტორისეული წინადადება პირდაპირ ნათქვამ-თან რ. ინანიშვილის ენის მიხედვით
- რ. ჭ კ ა დ უ ა, ფუძედრეკად ზმნათა მიმღობური ფორმების წარმოე-ბისათვის სვანურში
- ნ. ო თ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ყვირილის ხეობის ჰიდრონიმია
- ფ. ა ფ ხ ა ი ძ ე, თავაზიანობის ეტიკეტი და მესამე პირის ნაცვალ-სახელთა სისტემა (სინჰალური ენის მასალაზე)
- ნ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, თანამედროვე პრესის (ჟურნალების) ენა და მასთან დაკავშირებული პრობლემები
- ლ. კ ე ლ ა უ რ ა ძ ე, ქართველურ-ბურჟუაზულ-ბასკური საერთო ლექ-სიკიდან. I (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა)

16 ივნისი, 11 საათი

- ა ლ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, კიდევ ერთხელ „ვეფხისტყაოსნის“ ავტო-რის სადაურობისათვის
- მ. ჩ უ ხ უ ა, გუტურალ-თანხმოვანთა შესატყვისობისათვის იბერი-ულ-კავკასიურ ენებში
- მ. ბ ე რ ი ძ ე, ლ. ბ ა კ უ რ ა ძ ე, ფერეიდანი — ქართული ლინგვო-კულტურული სივრცის ნაწილი
- ნ. ს უ რ მ ა ვ ა, ფონეტიკური პროცესები იმერხევის მეტყველებაში (2009-2010 წწ. მასალების მიხედვით)
- ც. კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ი, ენაში მიმდინარე ზოგი გრამატიკული ცვლი-ლების შესახებ
- რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ზოგიერთი ფრაზეოლოგიზმისათვის ფერეიდ-ნულში
- ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, სიტყვა მსხემ-ის ისტორიისათვის
- მ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, ტაქსონომიური სისტემატიკის საკითხისათვის თანა-მედროვე ლექსიკოგრაფიაში
- რ. ლ ო ლ უ ა, შენიშვნები კავკასიის ალბანური ფონოლოგიური სის-ტემის შესახებ

17 ივნისი, 11 საათი

- ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, სისინა და შიშინა სიბილანტთა პრობლემა ქართველურ ენებში
- გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები და რეალური ენობრივი ვითარება
- მ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, „მოცალებობის“ სემანტიკისათვის „ვეფხისტყაოსანში“
- ნ. ა რ დ ო ტ ე ლ ი, სიბილანტთა მონაცვლეობისათვის დიდოურ ენებში
- მ. ა შ ა ძ ე, ა. პ ა პ ი ძ ე, ფრაზეოლოგიზმებთან დაკავშირებული საკითხები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (სიტყვა-სტატია ენის მაგალითზე)
- ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი, I შედეგობითის უპრევერბო ფორმათა ორი სახეობა სვანურ ენაში და მათი მიმართება ქართულის მონაცემებთან
- ნ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, მ. კ ი კ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კნინობითობის წარმოების თავისებურებანი ქართულში
- ე. გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ ი, ტერმინ „აზნაურის“ ისტორიისათვის ქართულსა და სპარსულ წყაროებში
- შ. გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა, „საქართველოსა“ და „ქართველის“ აღმნიშვნელი აღმოსავლური ტერმინის „გურჯის“ წარმომავლობისათვის

ნ ო დ ა რ ა რ დ ო ტ ე ლ ი

სიბილანტთა მონაცვლეობისათვის დიდოურ ენებში

1. სიბილანტურ სპირანტთა (**ზ, ს, ჟ, შ**) და აფრიკატთა (**ც, წ, ზ, ჩ, ჭ**) მონაცვლეობით დიდოური ენები, ხუნძური ენის დიალექტებისა და ანდიურ ენათა ერთი წყებისაგან (ახვ., ჭამ...) განსხვავებით, თავისებურებას ამჟღავნებენ: ამ ენებში ეს პროცესი მეტწილად პოზიციურად არის შეპირობებული და არარეგულარული ხასიათისაა [ე. ლომთაძე, ტ. გუდავა, მ. ჰამზათოვი...].

ზ/ჟ, ს/შ, ც/ჩ, წ/ჭ სიბილანტურ წყვილთა ალტერნაცია არაერთგვაროვნად არის წარმოდგენილი და, ლექსიკური მასალის გარდა, გრამატიკულ ფორმებშიც დასტურდება.

2. საკუთრივ დიდოურის შიშინა და ჰინუხურის სისინა სიბილანტებს შორის თავჩენილ ფონემათფარდობაში ამოსავლად შიშინა თანხმოვნები მიიჩნევა, ხოლო შებრუნებულ ფონემათმომართებაში — სისინა სიბილანტები:

საკ. დიდ.		ჰინ.	
	ზ (<*ს) > ჟ		
იზუ		იჟუ	„ყველი“
ოზური		ოჟე	„თვალი“
	ს (<*ც) >		
	ს (<*ზ) >		
ის, ოს (დიალ. ვარ.)		ჟშ	„ხარი“
ისი		იშე	„თოვლი“
	ც (<*წ) > ჩ		
ციტორი		ჩიტო	„ჭიპი“
	წ > ჭ		
წი		ჭე	„ცეცხლი“
	შ > ზ		
შეკჟ-ა		ზოკ-ა	„ცემა“
	შ > ს		

შუღ	სუღ	„საფლაღი“
კონჭუ	კონწუ	„წვივი“ (მღრ. ქართ. კანჭი)

3. შიშინა სპირანტები (**ჟ, შ**) და აფრიკატები (**ჩ, ჭ**) საკუთრივ ბეჟიტური დიალექტის კაპუჭურ და ხაშარხოტულ კილოკავებში სინა სიბილანტებად გარდაიქმნებიან, ხოლო ტლადალურ კილოკავსა და ჰუნზიბურ დიალექტში არქიფონემები დაცულია:

კაბ.	ხაშ.	ტლ.	ჰუნზ.	
ზ	ზ	ჟ	შ	
ზიზ-ალ	ზიზ-ალ	ჟიჟაჰ-ალ	შგჟ-ა	„შეხრაკვა“, „შეწვა“
ს	ს	შ	შ	
ხისა	ხისა	ხიშა	ხიშო	ხვალ“
ც	ც	ჩ	ჩ	
მეც-ალ	მეც-ალ	მეჩ-ალ	ბეჩ-ა	„ყოფნა“, „არსებობა“
წ	წ	ჭ	ჭ	
წიმაწ	წიმაწ	ჭიმატ	ჭემატ	„ღრძილი“

4. როგორც საანალიზო მასალა ცხადყოფს, **სისინა > შიშინა** პროცესი ხდება პალატალური ხმოვნებისა (**ი, ე**) და **ა** სონანტის მეზობლად, რაც გრამატიკულ ფორმებშიც თვალნათლივ გამოჩნდება, მაგ.: კაბ. მილა**ზ**-ალ „გაყინვა“ — აწმყ. მილა**ჟ**-შ „ყინავს“, გოწოლ-ალ (I კლ.) — გიჭელ-ალ (II კლ.) 1. „ჩვენება“; 2. „მიცემა“...; ჰუნზ. **ც**⁶ „მარილი“ — ნათ. ჩიძო-ს და სხვ. მისთ.

რაც შეეხება შიშინა სიბილანტთა გასისინებას, გასაგები მიზეზების გამო, ამგვარი ტრანსფორმაცია დასტურდება ყველა სახის ხმოვანთან.

5. ფონემათმესატყვისობა არის ისეთი სახის ფონემათფარდობა, რომელშიც ერთი ფონემა, პოზიციისდა მიუხედავად, კანონზომიერად იცვლება სხვა ფონემით. დიდოურ ენებში გამოვლენილი ფონემათმონაცვლეობა უპირატესად კომბინაციური ხასიათისაა და, აქედან გამომდინარე, ქართველურ ენებთან პარალელის გავლება გაუძარბოვებელია. მიუხედავად ამისა, დიდოურ ენებშივე შეინიშნება კომბი-

ნაციური ფონეტიკური პროცესის სპონტანურ ფონეტიკურ პროცესად ქცევის ტენდენცია. ამ თვალსაზრისით ქართველურ ენებში სათანადო მასალის ანალიზი საინტერესო შედეგებს მოგვცემდა.

ფ ი ქ რ ი ა ა ფ ხ ა ი ძ ე

თავაზიანობის ეტიკეტი და მესამე პირის ნაცვალსახელთა სისტემა (სინჰალური ენის მასალაზე)

სინჰალა ენაში რაოდენობრივი თუ ფუნქციურ-სემანტიკური ნაირგვაროვნებით II პირის¹ გარდა, III პირის აღმნიშვნელი ნაცვალსახელებიც გამოირჩევიან. მათი ნაირსახეობების² გამოყენებისას არსებული სოციალური ეტიკეტის დაცვა მნიშვნელოვანია; საზოგადოების სოციალურად დაყოფის პრინციპებსა და ამ თვალსაზრისით არსებულ ენობრივ დიფერენცირებას III პირის ნაცვალსახელთა სისტემაც არანაკლებ საინტერესოდ გვიჩვენებს.

ძირითადი სხვაობა III პირის ნაცვალსახელთა ხმარების თვალსაზრისით სალაპარაკო და სალიტერატურო სინჰალას შორის არის ის, რომ რაოდენობრივად სალიტერატურო ლექსიკისთვის დამახასიათებელი ფორმები ბევრად სჭარბობს სალაპარაკო ენის ფორმებს. სალაპარაკო სინჰალაში III პირის აღსანიშნად გაცილებით მცირე ნაირსახეობა გვხვდება და ამასთან, განსხვავებულია მათი ფუნქციურ-სემანტიკური დატირთვაც.

სალიტერატურო სინჰალა III პირის ნაცვალსახელებში შემდეგ გრამატიკულ კატეგორიებს განარჩევს:

1. მდელრობითი, მამრობითი და საშუალო სქესი.
2. მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი.

¹ იხ. ჩვენივე სტატია: „მეორე პირის ნაცვალსახელთა თავისებურებისათვის სალაპარაკო სინჰალაში“, იკე XXXVII, 2009

² III პირის აღმნიშვნელი ნაცვალსახელთა ნაირსახეობებს განვიხილავთ მოხსენებაში.

3. თავაზიანობის კატეგორია. კერძოდ, განსხვავებას ქმნის თავაზიანი-არათავაზიანი და აგრეთვე, პატივისცემის და უპატივცემულობის გამომხატველი ფორმები.

4. სულიერი და უსულოს კატეგორია. კერძოდ, სულიერში გარჩეულია ადამიანი და ცხოველი, ხოლო უსულოში ნივთი ან აბსტრაქტული ცნება. აღსანიშნავია, რომ თავაზიანობის კატეგორიის მარკირებისას სულიერი და უსულოს კატეგორიის მარკირების პრინციპი ირდგევა: ნივთის, ცხოველის აღმნიშვნელი ფორმები იქცევა ადამიანის აღმნიშვნელად, რითაც იქმნება არათავაზიანობის ან უპატივცემულობის კონტექსტი.

სინჰალა ენა III პირის ფუნქციით ჩვენებით ნაცვალსახელებსაც გამოიყენებს.

თანამედროვე სალაპარაკო ენაში III პირის აღმნიშვნელი ნაცვალსახელია **eyā** (ის, მხ.რ), რომელსაც სალიტერატურო ენაში არა აქვს აქტიური გამოყენების არეალი სხვა ფორმებთან შედარებით. სქესის თვალსაზრისით III პირი სალაპარაკო ენაში არ არის მარკირებული. ეს ბუნებრივია, რამდენადაც სქესის კატეგორია სალაპარაკო ენისთვის მხოლოდ ლექსიკურ კატეგორიად მიიჩნევა. სამაგიეროდ, გარჩეულია სულიერი-უსულოს კატეგორია, ოღონდ ჩვენებით ნაცვალსახელებში, რომლებიც III პირის ფუნქციას ითავსებენ, მაგ.: **ekə**, **arəkə**, **mekə**, **oya** ფორმები ყოველთვის უსულოზე მიუთითებს, ხოლო **mē**, **arə** — სულიერი არსებობის მსაზღვრელებად გამოიყენება. საკუთრივ III პირის აღმნიშვნელ სუბიექტურ ნაცვალსახელებში კი გამიჯნულია ადამიანის და ცხოველის აღმნიშვნელი კატეგორია: ნაცვალსახელი ჩვეულებრივ ცხოველზე მიუთითებს, ხოლო **eyā** - (მხ.რ) ადამიანზე.

აღსანიშნავია თავაზიანობის კატეგორიის მარკირების თავისებურებაც. ჩვენი აზრით, სალაპარაკო სინჰალურში არ გვაქვს ისეთი მკვეთრი დისკრიმინირებული კასტური ან კლასობრივი სხვაობა, როგორც ეს, ვთქვათ, გუნსაქერას მიერ სინჰალური ენის გრამატიკაშია (1891) აღწერილი. სინჰალური საზოგადოების სოციალურ ფენებს შორის განსხვავება ამჟამად გამოიხატება მხოლოდ დაბალი, საშუალო და მაღალი ფენების მიხედვით.

საინტერესო განსხვავებას ქმნის ამ კატეგორიის მარკირების პრინციპიც. მაგალითად, სალიტერატურო სინჰალას III პირის ნა-

ცვალსახელებში თავაზიანი მნიშვნელობა სპეციალური სუფიქსების საშუალებით იწარმოება და ეს სუფიქსები დაერთვის მხოლოდ მრავლობითის აღმნიშვნელ III პირის ზოგ ნაცვალსახელურ ფუძეს. მაგალითად:

un (III პ. მრ.რ) + **vahansē** (სუფიქსი) < **unvahansē**;

un (III პ. მრ.რ) + **nehe** (სუფიქსი) < **unnæhe** და სხვა.

არათავაზიანი მნიშვნელობის გამოსახატავად კი გამოიყენება სპეციალური ფორმები. მაგ.: **ū**; **mū**; **mu**; **ekā**; **okā** და ა.შ. რაც შეეხება სალაპარაკო სინჰალას, აქ თავაზიანობა-არათავაზიანობის გამოსახატავად იშვიათად მაგრამ, შეიძლება, რომ ნასესხები იქნას სალიტერატურო ენის ფონდისთვის დამახასიათებელი თავაზიანობის გამომხატველი ფორმები, როგორცა: **unvahansē** ან **unnæhe** და სხვ. მაგრამ ძირითადად, ლაპარაკის დროს III პირში მოწიწების ან თავაზიანობის გამოსახატავად ჩინის, სოციალური რანგის ან სტატუსის გამომხატველი არსებითი სახელები გამოიყენება, ისევე როგორც ქართულში: მაგ.: დოქტორი/პროფესორი + საკუთარი სახელი; ქალბატონი/ბატონი+საკუთარი სახელი. ხოლო თუ პიროვნების ვინაობა უცნობია, მაშინ ამ სიტყვების წინ ჩვენებითი ნაცვალსახელები დაისმის: **ē/arə doctor kenek**; **profesə kenek**=ის /ეს დოქტორი/პროფესორი; **ē/arə mahattə/nōnə** =ის/ ეს ბატონი/ქალბატონი. არასაერო პირის, რელიგიური მსახურის, ვთქვათ, ბუდისტი ბერის მოსახსენიებლად კი სპეციალური ნაცვალსახელის **unvahansē**-ს ნაცვლად გამოიყენება შემდეგი კონსტრუქცია: (ჩვენებითი ნაცვალსახელური მსაზღვრელი) **ē/arə** + (არსებითი სახელი **hāmuduruvo** „ბუდისტი ბერი“) ან: საკუთარი სახელი + სიტყვა **hāmuduruvo**. ქართულშიც აბსოლუტურად იგივენაირად ხდება, როცა მოვიხსენიებთ სასულიერო პირს: მამა ლევანი, მეუფე დავითი და ა.შ. სინჰალურში მსაზღვრელ-საზღვრულის რიგი შებრუნებულია: ჯერ სახელია და მერე სასულიერო რანგის აღმნიშვნელი სიტყვა.

რაც შეეხება არათავაზიან მნიშვნელობას, სალაპარაკო სინჰალაში III პირში არათავაზიანი მნიშვნელობით გამოიყენება ნაცვალსახელი, რომელიც ჩვეულებრივ აღნიშნავს ცხოველის კატეგორიას. ასეთია: **ū** (მხ.რ) და **un** (მრ.რ) ამ ფორმების ხმარებით განსაკუთრებით დამამკირებელი მნიშვნელობა გამოიხატება.

თავაზიანობა-არათავაზიანობის გამოსახატად ზოგჯერ შეიძლება პრაგმატული ფაქტორიც იყოს მნიშვნელოვანი. მაგალითად, საზოგადოდ მიჩნეულია, რომ ქართულში თავაზიანობის კატეგორია III პირის ნაცვალსახელებში გრამატიკულად არ არის მარკირებული, მაგრამ პრაქტიკულად ეს კატეგორია ქართულში სხვაგვარად შეიძლება გამოიხატოს. მაგალითად, თუ III პირის ჩვენებითი ნაცვალსახელები გამოყენებულ იქნება ადამიანის აღმნიშვნელი სუბიექტური ნაცვალსახელის ნაცვლად, მაშინ მოსაუბრეს შეუძლია აღსანიშნის მიმართ გამოხატოს თავაზიანი ან არათავაზიანი დამოკიდებულება. ამ დროს მნიშვნელოვანია აგრეთვე მოსაუბრის პრაგმატული პოზიცია, განსხვავება რანგობრივ-ჩინობრივი ან ასაკობრივი თვალსაზრისით.

ზემოთ განხილული ენობრივი თავისებურებები მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციოლინგვისტურ ფაქტორებთან, რომლებიც უმთავრესად შეპირობებულია მოცემული ერის კულტურულ-ეთნიკური და რელიგიური თავისებურებანით. ცხადია, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თანამედროვე სინჰალას ჩამოყალიბება მულტიგენეტიკური (ინდოარიული, დრავიდული და საკუთრივ ინდოგენური) ენობრივი კონტაქტების საფუძველზე მოხდა. ამიტომ სხვადასხვა ენობრივი მოვლენის განვითარებაში მულტიგენეტიკური ენობრივი სტრუქტურების იმპაქტები აისახა.

მ ა ი ა ა შ ა ძ ე , ა ს მ ა თ პ ა პ ი ძ ე

ფრაზეოლოგიზმებთან დაკავშირებული საკითხები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (სიტყვა-სტატია ენის მაგალითზე)

ფრაზეოლოგიზმთა აღნუსხვა და კვლევა ნებისმიერი ენის შესწავლის ერთ-ერთი საინტერესო უბანია. ამგვარ გამონათქვამთა შესწავლას აქვს როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური მნიშვნელობა, რამდენადაც მათში ხშირად შემონახულია ენის ისტორიულ-ეთნოგრაფიული თუ კულტურულ-სოციალური თავისებურებ-

ბის გასაღები. ამიტომ ფრაზეოლოგიზმთა განხილვა ენათმეცნიერების (და არა მხოლოდ ენათმეცნიერების) სხვადასხვა დარგის ინტერესების მიხედვითაა შესაძლებელი.

ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა შესწავლა უმთავრესად ცალკეული ემოციური კონცეპტების მიხედვით ხდება. სემანტიკური დომინანტების მიხედვით დაჯგუფებული ფრაზეოლოგიზმების განხილვისას მეტ-ნაკლებად ამ ემოციების გადმოსაცემ სტრუქტურებსაც ექცევა ყურადღება. რამდენადაც ჩვენს კვლევას უფრო ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული მიზანი აქვს, გადავწყვიტეთ, ამოსავლად აგველო არა ემოციური კონცეპტი, არამედ სიტყვა, როგორც სხვადასხვა კონცეპტური სტრუქტურის შემქმნელი, ერთგვარი სიტყვა-კონცეპტი. ასეთი ფართო სემანტიკური ველის მქონე სიტყვები ყველა ენაშია და მათი რაოდენობა არც ისე დიდია. ბუნებრივია, **ქეალ**ში ყველაზე დიდი რაოდენობით ე. წ. რომბული შესიტყვებები სწორედ ამ რიგის სიტყვა-სტატიებშია თავმოყრილი.

აღსანიშნავია, რომ **ქეალ**ის ახალი რედაქციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად მიჩნეულია ფრაზეოლოგიური ერთეულებით მისი გამდიდრება. ეს მოხდა, ერთი მხრივ, იმ მაგალითების ხარჯზე, რომელთა ნაწილი ფიგურალურის კვალიფიკაციით იყო ასახული ილუსტრაციებში, მეორე მხრივ, ახალი მასალის მოპოვების შედეგად. მყარ გამონათქვამებს შეუერთდა ასევე დალოცვის, წყევლისა თუ ნატვრის ფორმულები (მათ შორის ერთსიტყვიანი). ამავე დროს, ფრაზეოლოგიზმთა (ე. წ. რომბულ გამონათქვამთა) მითითება მოეხსნა არაერთ ტერმინოლოგიურ შესიტყვებას და ამით მკვეთრი მიჯნა დაიდო ამ ორი ტიპის შესიტყვებას შორის (ქეგლ, ახ. რედ., I, გვ. 11). ამგვარად, **ქეალ**ში ფრაზეოლოგიზმთა ყველა ნაირსახეობა ერთ დიდ ჯგუფად არის წარმოდგენილი, — ე. წ. რომბულ გამონათქვამებად, რომლებშიც შედის იდიომებიც და მეტაფორული გადააზრებით მიღებული სხვა ხატოვანი სიტყვა-თქმანი. ცალკეა გამოყოფილი ტერმინოლოგიური შესიტყვებები, რომლებიც შესაბამის სიტყვა-სტატიამი რომბული მითითების გარეშეა წარმოდგენილი და განმარტებული.

ტერმინოლოგიური შესიტყვებები ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით სირთულეს არ ქმნიან. ამ რიგის გამოთქმები არც ისე ბევრია, სტრუქტურული და სემანტიკური ვარიანტების სიჭრელითაც არ

გამორჩევიან (სხვაგვარად ტერმინოლოგიურ სახელებად ვერ ჩამოყალიბდებოდნენ) და, შესაბამისად, განსამარტავად პრობლემებს არ ქმნიან.

სირთულეები, რომლებიც დაკავშირებულია პირველი ჯგუფის ფრაზეოლოგიზმებთან, გამოწვეულია, ერთი მხრივ, მათი მრავალრიცხოვნებით, მეორე მხრივ კი, ფრაზეოლოგიურ სახესხვაობათა მრავალფეროვნებით. არსებითად, ამ ჯგუფშია თავმოყრილი ყველა ტიპის ფრაზეოლოგიზმი, გარდა ტერმინოლოგიური გამონათქვამებისა. სწორედ ამიტომ მოვისხენიებთ მათ ე. წ. რომბულ შესიტყვებებად, რომელიც მხოლოდ ტექნიკური ტერმინია.

ე. წ. რომბულ შესიტყვებათა უდიდესი უმრავლესობა ორ- და მეტსიტყვიანია, თუმცა ცნებითი თვალსაზრისით ისინი ერთ, შემადგენელ კომპონენტთაგან სრულიად განსხვავებულ, ცნებას აღნიშნავენ. ძირითადი ლექსიკოგრაფიული პრობლემა დაკავშირებულია ამ გამოთქმის სალექსიკონო ერთეულად გატანის ადგილთან, — გამოთქმის შემადგენელ რომელ სიტყვა-სტატიასთან უნდა მოხდეს მისი მნიშვნელობის დაფიქსირება, — ანუ განისაზღვროს წამყვანი, ბირთვი სიტყვა, რაც ხშირად არც ისე ადვილია.

პოლისემიურ სიტყვებთან დაკავშირებით აქტუალურია აგრეთვე რომბულ შესიტყვებათა ადგილი სიტყვა-სტატიაში. ვითარება მარტივია, როდესაც ფრაზეოლოგიური შესიტყვება განსამარტი სიტყვის ერთ რომელიმე მნიშვნელობასთან არის აშკარად დაკავშირებული, მაგრამ უფრო ხშირად ბუნდოვანია, კონკრეტულად რომელი მნიშვნელობაა მეტაფორულად გადააზრებული. ასეთ შემთხვევაში ე. წ. რომბული შესიტყვებები სიტყვა-სტატიის ბოლოს არის თავმოყრილი. ერთ სტატიაში ბევრი ფრაზეოლოგიური გამოთქმის არსებობის შემთხვევაში გარკვეულ სირთულეებს ქმნის ფრაზეოლოგიზმთა თანამიმდევრობის საკითხიც.

ძირითადად სწორედ ამ ლექსიკოგრაფიული პრობლემების გათვალისწინებით არის განხილული მოხსენებაში **ქეგლის** სიტყვა-სტატია **ენა** და მისი ფრაზეოლოგიზმები.

სიტყვა **ენა ქეგლ**ში 10 მნიშვნელობათაა წარმოდგენილი, რომლებიც, თავის მხრივ, 2 ჯგუფად შეიძლება წარმოვადგინოთ. ერთია ენა, როგორც ადამიანის (საერთოდ, ცოცხალი ორგანიზმის) სხეულის

ნაწილის აღმნიშვნელი ანატომიური ტერმინი, — პირის ღრუში მოთავსებული კუნთოვანი ორგანო — და მეორე — აზრის ჩამოყალიბებისა და გაგებინების საშუალება, მეტყველების უნარი და ამავდროულად მისი პროდუქტი. ცხადია, მეორე ჯგუფის მნიშვნელობები პირველისაგან მომდინარეობს, რამდენადაც მეტყველების აქტში ერთ-ერთი არსებითი მნიშვნელობა სწორედ ამ ორგანოს, ენას, აქვს, თანაც მისი მონაწილეობა ყველაზე ხილულია, რამაც უთუოდ განაპირობა მეტყველების პროცესის, ლაპარაკის სწორედ მასთან გაიგივება. **ენის** ცალკეული მნიშვნელობები ენასთან, როგორც ანატომიურ ორგანოსთან, მსგავსებით არის განპირობებული. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ენაში ეს ორი მნიშვნელობა სხვადასხვა სიტყვითაა გამოხატული (ინგლისური, გერმანული, უკრაინული...); ქართულში (ასევე რუსულში, ფრანგულში, იტალიურში...) კი ეს ორივე ძირითადი მნიშვნელობა ერთი სიტყვით გადმოიცემა.

სიტყვა **ენასთან** დაფიქსირებულ მრავალრიცხოვან ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა უმრავლესობაში წამყვან სიტყვად, გამოთქმის ბირთვად **ენაა** წარმოდგენილი, რადგანაც გამოთქმის მეტაფორულობა სწორედ ამ სიტყვასთანაა დაკავშირებული. ასეთებია: **ენაზე ჭალი არ მოედება, ენას შეუბრუნებს, ენა ეყლაპება, ენას ვერ აბრუნებს** და სხვ. ფრაზეოლოგიზმთა მცირე ნაწილისათვის **ენა** არაა მიჩნეული წამყვან სიტყვად და გამოთქმის განმარტების სახილველად სხვა სიტყვა-სტატიაა მიითებებული. (შდრ. **ენად გაკრეფილი** — იხ. გაკრეფილი; **ენას გამოუყოფს** იხ. გამოუყოფს; **ენას გასცემს** იხ. ხმას გასცემს). მოხსენებაში წარმოდგენილია ის ცვლილებები, რაც ამ თვალსაზრისით წინა რედაქციასთან შედარებით ივარაუდება. საგანგებოდაა განხილული ის ფრაზეოლოგიზმებიც, რომელთა შემადგენლობაში ბირთვი სიტყვის გამოყოფა ჭირს იმის გამო, რომ ფრაზის შემადგენელი კომპონენტები ხატოვანების თვალსაზრისით თანაბარი ძალისანი ჩანან.

მოხსენებაში განხილულია აგრეთვე სინონიმური სემანტიკის ფრაზეოლოგიზმების განთავსებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა შორის აღსანიშნავია, ერთი მხრივ, სინონიმური ლექსემებით წარმოდგენილი გამოთქმები და, მეორე მხრივ, მხოლოდ ზმნური ფორმებისა და კატეგორიების მიხედვით განსხვავებული შესიტყვებები

(მასდარული, აქტიური და პასიური კონსტრუქციები); ამასთანავე, შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

მ ა რ ი ნ ე ბ ე რ ი ძ ე , ლ ი ა ბ ა კ უ რ ა ძ ე

ფერეიდანი — ქართული ლინგვოკულტურული სივრცის ნაწილი

მოხსენება ეყრდნობა 2008 წლის ოქტომბერ-ნოემბერსა და 2009 წლის თებერვალში ირანში მივლინების, აგრეთვე ფერეიდნელთა საქართველოში სტუმრობის დროს მოპოვებულ მასალას.

ფერეიდანში მიმდინარე ყველა სოციალურ-კულტურული თუ ენობრივი პროცესი უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია ჩვენი მეცნიერული თვალსაწიერის არეშია მოქცეული.

თუკი სხვა ენობრივ კუნძულებს და მათი ენობრივი ადაპტაციის კლასიკურ სურათს შევადარებთ, შეიძლება ითქვას, რომ ფერეიდნულმა „ყველა რეკორდი მოხსნა“ და მხოლოდ მეთორმეტე თაობას დაუდგა ის კრიტიკული ეტაპი, როცა მოსალოდნელია „მიმღები“ ენის ძლიერი გავლენის შედეგად ქართული ენის პოზიციების შერყევა. ეს ეტაპი ქართული მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას და სხვა თანამდევ სოციალურ მომენტებს უკავშირდება. ჩვენ ვნახეთ არაერთი ოჯახი, სადაც თაობებს შორის ენობრივი კავშირის გაწყვეტის რეალური საფრთხე არსებობს. ამას მწვავედ განიცდიან თვით ფერეიდნელები. თუმცა, ენობრივი კომპეტენციის კლების უკუპროპორციულად იზრდება ფერეიდნელთა „ეთნიკური მობილიზაციის“ ნიშნული.

ეთნიკური მობილიზაცია თანამედროვე მრავალეროვანი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი და რთული მოვლენაა და დღეს მას ათასწლეულების გასაყარის განუყრელ ნიშნად მიიჩნევენ. ეთნიკურ მობილიზაციას აღორძინების ანუ რენესანსის ბადალ ტერმინად მიიჩნევენ და განმარტავენ მას, როგორც ყველა ძალის მობი-

ლიზებას თვითმყოფადი და სიცოცხლისუნარიანი კულტურის განვითარებისათვის. ეთნიკური მობილიზაცია მაღალ ნაციონალურ მუხტზე გაწონასწორებული მოვლენაა და მას ხშირად პოლიტიკური მანიპულირების საშუალებად იყენებენ. ეთნიკურ მობილიზაციას სჭირდება ე. წ. „ლოკომოტივები“, რომლებსაც ასევე ხშირად ხელოვნურად ქმნიან ხოლმე.

ფერეიდანის ისტორიის ბოლო რამდენიმე ათწლეული (რომელზე თვალის გადავლება ჩვენ შეგვიძლია), ეთნიკური მობილიზაციის ბუნებრივ, ჯგუფის შიგნით დაბადებულ და განვითარებულ მოვლენად შეიძლება განვიხილოთ.

ხოლო ის ადამიანები, რომლებიც სტიქიურად, ყოველგვარი შიდა და გარე კოორდინაციის გარეშე ტვირთულობენ კულტურული თვითმყოფადობის აღდგენისა და დედაკულტურასთან რეინტეგრაციის მისიას, არიან სწორედ ეთნიკური მობილიზაციისთვის ესოდენ საჭირო „ლოკომოტივები“.

ჩვენ თვალწინ ხდება ქართული ლექსიკის „დაბრუნება“ და ამ პროცესის კოლექტიური გაცნობიერება.

„კუნძულური დიალექტოლოგიის“ ფუძემდებელი ვ. ჟირმუნსკი ხანგრძლივ იზოლაციაში მყოფ დიალექტს „ექსპერიმენტულ ლაბორატორიას“ უწოდებდა. დღემდე ცნობილ ასეთ ლაბორატორიებში ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ინტერფერენციის შედეგად წარმოქმნილი პიჯინები „მიიღებოდა“. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ ფერეიდნულის მაგალითი, როგორც პრეცედენტი, და ისიც უნდა გავიაზროთ, რომ ისტორიამ, რომელმაც ფაქტობრივად დამკვირვებელი თვალის გარეშე „იმუშავა“ ამ უნიკალურ ექსპერიმენტულ ლაბორატორიაში, ჩვენ „დაგვაგალა“ ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპის მეთვალყურეობა და, შესაბამისად, მასზე ზეგავლენისა და მისი მართვის მოვალეობაც დაგვაკისრა.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება დიდძალი მასალა „ფერეიდნული“ ფენომენის განვითარების ცოცხალი პროცესის შესასწავლად.

შ ა ლ ვ ა გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა

„საქართველოსა“ და „ქართველის“ აღმნიშვნელი აღმოსავლური ტერმინის „გურჯის“ წარმომავლობისათვის

მოხსენებაში საკითხის დასმის წესით გამოთქმულია მოსაზრება საქართველოსა და ქართველის აღმნიშვნელი ირანული ტერმინის გორჯის, რომლისგანაცაა მიღებული არაბული, თურქული, სირიული, ძვ. რუსული თუ სხვა ეთნიკური ტერმინები, ეთნონიმ კოლხიდან მომდინარეობის შესახებ.

ამ ვარაუდისთვის გათვალისწინებულია შემდეგი გარემოებები: ქართველებს მრავალი საუკუნის მანძილზე ახლო ურთიერთობები ჰქონდათ ირანელებთან. პერიოდოტეს ცნობის თანახმად, ისტორიული კოლხეთის სამხრეთ ნაწილში მცხოვრები ქართველური ტომები — მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები და მარები აქემენიდების სახელმწიფოს (ძვ. წ. 558-330) მე-19 სატრაპიაში იყვნენ გაერთიანებულები.

მიუხედავად იმისა, რომ კოლხები ირანელთა სატრაპიებში არ შედიოდა, იგი ვალდებული იყო დამხმარე ჯარი გამოეყვანა და ხარკი გადაეხადა აქემენიდებისთვის.

აქემენიდების ლურსმულ წარწერებში ძველი ირანის დასავლეთის ქვეყნების სიაში მოხსენიებულია **mačiya**, რომელსაც ზოგიერთი ირანისტი მესხეთთან აიგივებს, ხოლო **karkā** ასევე მკვლევართა ნაწილის მიერ კოლხეთადაა მიჩნეული.

ეთნიკური სახელწოდება კოლხი კულხა ფორმით გვხვდება ძვ. წ. XII ს. ურარტულ ლურსმულ წარწერებში, ძველბერძენ ავტორებთან კი ძვ. წ. VIII ს.-დან მოყოლებული დასტურდება.

მოხსენების ავტორის აზრით, ხეთური ტექსტების **kaška**, **gašga** და სხვ., რომელსაც ხეთოლოგები ჩერქეზის აღმნიშვნელ სახელწოდება ქაშაგთან აიგივებენ, ეთნონიმ კოლხის გადმოცემაა. შესაძლოა, ამ უკანასკნელს უკავშირდებოდეს ძველი აღთქმის ანთროპონიმი კორახიც (დაბადება თ. 36, 5, რიცხვნი თ. 16, 1, თ. 26, 9 და სხვ.)

ლ : რ მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე ძველ ბერძენ ავტორებ-

თან დამოწმებულ, კოლხების ახლო მონათესავე, მაგრამ სხვა ტომის — კორაქსების სახელწოდებაში.

ქართველების ირანულენოვან საყმაროსთან უშუალო კონტაქტებზე მეტყველებს როგორც ირანული ენებიდან ქართველურ ენებში შემოსული ლექსიკა, ასევე ქართველური ენებიდან სპარსულ ენაში დამკვიდრებული ქართველიზმები, რომელთა შორისაც არის დასავლურ-ქართული ლექსიკური ელემენტებიც: ქართ. პილენძი : ზან. *პირინჯი-ი > სპ. ბირინჯ „id“, ზან. ოხორ-ი („სახლი“) > სპ. ახორ „სა-ჯინიბო“, ქართ. ბელელ-ი : ზან. ბადილ-ი (შდრ. მეგრ. ობადილე „სა-სიმინდეს კალათა“, „გოდორი“ > სპ. ბადილ „ბელელი“.

ეთნიკური სახელწოდება: კოლხ- /*კორხ-/*კორკ სპარსულში ყრუ თანხმოვნების გამჟღავნებით მოგვცემდა გორგ-ს, რომლისგანაც წარმომავლობის სუფიქსის დართვითაა მიღებული გორჯი. ამ უკანასკნელის დიალექტურ ნაირსახეობას უნდა წარმოადგენდეს გორზი/გურზი (შდრ. ძვ. რუსული გურზი „ქართველი“).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ დასავლეთ საქართველოს სახელწოდება აბხაზი XI-XII სს. სპარსულ ტექსტებში „საქართველოს“ აღნიშნავს, რომელიც ჩვენი ქვეყნისა და მის მცხოვრებთა აღსანიშნავად ისეთ ტერმინთა პარალელურად იხმარებოდა სპარსულში, როგორიცაა „გურჯ“, „ჯურჯ“ და სხვა (გ. ბერაძე).

იმის გამო, რომ არაბულში გ თანხმოვანი არ არის, სპარსულიდან შესული ქართველის აღმნიშვნელი ყველაზე გავრცელებული კრებიითი სახელი ალ-ქურჯ ფორმითაა დამკვიდრებული ამ ენაში.

ასევე სპარსული ენის გორჯი არის ქართველის აღსანიშნავად ამოსავალი თურქული ენისთვის, რომლის ადრეულ პერიოდში განსახილველი ეთნონიმი კანონზომიერად გურჯის (**gürci**) ფორმით, ხოლო შემდეგ თურქული ენის ფონეტიკისთვის დამახასიათებელი, ე. წ. ხმოვანთჰარმონიის კანონის თანახმად გურჯუ (**gürcü**) სახე მიიღო, ხოლო საქართველოს აღმნიშვნელად ამჟამად უფრო **Gürcistan** ფორმას ენიჭება უპირატესობა.

ელენე გიუნაშვილი

ტერმინ „აზნაურის“ ისტორიისათვის ქართულსა და სპარსულ წყაროებში

ისლამამდელი ირანისა და საქართველოს კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ეს კონტაქტები განსაკუთრებით ინტენსიური ხდება სასანელთა ეპოქაში (III-VII სს. ჩვ. წ.).

ჩვენამდე მოღწეული ნარატიული, ეპიგრაფიკული და არქეოლოგიური მონაცემები ცხადყოფს სასანური ირანის ღრმა გავლენებს ქართულ ცივილიზაციაზე.

ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია სასანელთა ოფიციალური, რელიგიური და სალიტერატურო ენის გავრცელება საქართველოში. უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში გამოვლენილია საშუალო სპარსული ლექსიკის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ნიმუშები, რომლებიც შეთვისებული იყო ამ ინტენსიური კონტაქტების შედეგად წიგნური ან ზეპირი გზით.

ირანულ-ქართული ურთიერთობის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს V-VI საუკუნეების ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებებს, განსაკუთრებით იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებას“. ამ ძეგლში გვხვდება მრავალი საყურადღებო ცნობა ქართლში შექმნილი ისტორიულ-რელიგიური ვითარების შესახებ, აგრეთვე დამოწმებულია მეტად საინტერესო სოციალური და რელიგიური ტერმინები.

„აზნაური“, რომელიც თავდაპირველად სწორედ ამ ძეგლში გვხვდება, გამოყენებულია „თავისუფალის, კეთილშობილის, დიდგვაროვანის“ გაგებით (მდრ. ბიბლიის ქართულ თარგმანებში „გან-აზნაურ-ება“ „განთავისუფლება“). ქართული ძეგლი მოწმობს, რომ იმ ეპოქაში უკვე არსებობდა აზნაურთა დაყოფა, მათ შორის გამოიყოფა პრივილეგირებული ფენა — „აზნაურნი დიდ-დიდნი“ და მათი მეუღლენი „ზეპურნი დედანი“. მდრ. აგრეთვე „უაზნო“ — არათავისუფალი, არადიდგვაროვანი, ე. ი. მდაბიო.

„აზნაური“ სასანური სოციალური ტერმინია და მისი ამოსავალი ფორმაა საშუალო სპარსული *āznāwar* „დიდგვაროვანი“, რომელიც

დასტურდება ზოროასტრიული ლიტერატურის ერთ-ერთ ნიმუშში.

ქართველი მეცნიერები (მ. ანდრონიკაშვილი, თ. ჩხეიძე) ქართულ „აზნაურ“-სა და მის შესაბამის სომხურ *azniu, azniv*-ს „წარჩინებული, დიდგვაროვანი“ (მდრ. ასევე სომხური *azn*- „ტომი, გვარი, თაობა“) განიხილავდნენ მომდინარე ირანული **ā-znā*-დან, „ცნობილი, დიდებული, დიდგვაროვანი“ (ზმნური ძირი *znā*-„ცოდნა“).

ხოლო ჰ. ბელი ქართულსა და სომხურ ფორმებს უკავშირებდა ირანულ **āznābara*-ს — „კეთილშობილი“, სადაც ამოსავალი ძირია *zan*-:zn „დაბადება, შობა“. ბელის თვალსაზრისით, ეს ფორმა ქართულიდან იყო შეთვისებული ოსურში, სვანურსა და სომხურში (*aznavor*).

საგულისხმოა, რომ ირანულ ენებში და საკუთრივ სპარსული ენის ისტორიის შემდგომ ეტაპებზე ეს ფორმა აღარ გვხვდება.

XVI-XVIII საუკუნეების სპარსულ ისტორიულ საბუთებში, რომლებიც დაცულია საქართველოს სიძველეთსაცავებში, დასტურდება ქართველი დიდგვაროვანის აღმნიშვნელი ტერმინი *aznavar*. სპარსელი მწიგნობრები მას განმარტავენ, როგორც „მამაცს, მებრძოლს, ძლივამოსილს“ და ქართულიდან შეთვისებულად მიიჩნევენ.

მოხსენებაში წარმოდგენილია ამ ტერმინის დისტრიბუციული ანალიზი ქართულ-სპარსული წყაროების მიხედვით, კულტურულ-ისტორიული მიმართებათა უქაზე.

გიორგი გოგოლაშვილი

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები და რეალური ენობრივი ვითარება

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენა გასული საუკუნის დასაწყისში იღებს სათავეს. 30-იან წლებში გამოიცა ნორმების მცირე კრებული; 40-იან წლებში — სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონები. „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ პირველი სოლიდური კრებული გამოქვეყნდა

1970 წელს, რომლის ფოტოტიპური გამოცემა განხორციელდა 1986 წელს. ამ კრებულის გამოცემამდეც და შემდეგაც ყველა ორთოგრაფიული ცნობარი, ქართული ენის ყველა პრაქტიკული სახელმძღვანელო წესით უნდა დაემყაროს სწორედ ამ ნორმებს, რადგან „სახელმწიფო კომისიის მიერ დამტკიცებული ნორმები სავალდებულოდ ითვლება. „უმთავრესი ნორმების მიღებიდან გავიდა თითქმის ერთი საუკუნე და **ზოგ შემთხვევაში რეალური ენობრივი ვითარება საკმაოდ დაშორდა დადგენილ ნორმებს**. ანუ: შეიცვალა რეალური ენობრივი ვითარება, ხოლო ნორმათა ცვლა ამის შესაბამისად არ მომხდარა. წარმოიქმნა შეუსაბამობა ნორმასა და რეალურ ენობრივ ვითარებას შორის. კონკრეტული მაგალითები:

1. „-მე, -ვე, -ლა, -ლაც(ა) ნაწილაკიან სახელთა ბრუნების“ საკითხების განხილვისას **დასაშვებად** არის მიჩნეული: **რალამაც** (რალაცამ), **რასლაც**, **რალასაც** (რალაცას), **რადლაც** (რალაცად)... **რამლა** (რალამ), **რასლა** (რალას), **რადლა** (რალად), **ვილამაც** (ვილაცამ), **ვისლაც**, **ვილასაც** (ვილაცას), **ვილადაც** (ვილაცად), **ვილათიც** (ვილაცით) და მისთანანი.

2. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვაში შეთანხმების საკითხების განხილვისას **დასაშვებად** არის მიჩნეული:

რამდენისამე სიტყვის, **რამდენისამე** სიტყვით, **რომელისამე** მოწაფის, **რომელისამე** მოწაფით... ასევე: **დიდს** საქმეს, **დიდის** საქმის, **დიდს** საქმედ, **დიდის** საქმით... **მოქმედებითს** ბრუნვაში, **პირველადს** პარტორგანიზაციას...

ერთადერთ სწორ ფორმად მიიჩნევა: **ჩემს** ამხანაგად, **მათს** ამხანაგად...

3. **ჭ-** და **ხ-** პრეფიქსების ხმარებასთან დაკავშირებით **ნორმად არის მიჩნეული**: შევჭვებებივარ, შევჭბრალეებივარ, გავჭპარვივარ, მოვჭფერებებივარ, დავჭჭვმედებარებივარ, შევსდავებებივარ, ავსტორლილებივარ, ვსწვევივარ, შევსცილებებივარ, შევსჭილებებივარ, შევსჯავრებივარ, მოვსკვდომივარ, გავსწყრომივარ, ვჭპარსავ, მივსწერ და მისთანანი.

ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ვითარებას არ ცვლის შენიშვნა: „|სუბიექტური პირის **ვ-** პრეფიქსის მომდევნო პოზიციაში III ობიექტური პირის პრეფიქსები **ჭ-** და **ხ-** მაინც და მაინც გაქრობის ტენდენციას იჩენენ“.

4. ნორმათა მიხედვით **-ავ** და **-ამ** თემისნიშნის ზმნათა | თურმეობითის ეს და მსგავსი ფორმები **„უკუგდებული უნდა იქნეს“**: ვუნახივარ, უნახიხარ, დაგიმალივარ, დამიმალიხარ... დაუხოცია, დაუკეცია, გაუღესია, გაუღეწია, დაურეკია, გაუჭედია და მისთანანი... ამ ტიპის ფორმათა შესახებ ბევრი თქმულა...

რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ამ მსჯელობიდან? — თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები რომ ქართული ენის თანამედროვე რეალურ ვითარებასთან შესაბამისობაში მოვიდეს, აუცილებელია კორექტივები იქნეს შეტანილი უკვე არსებულ ნორმებში და ეს კორექტირებული ნორმები გამოიცეს, როგორც ძირითადი საყრდენი ორთოგრაფიული ცნობარებისა თუ პრაქტიკული გრამატიკებისათვის; სახელმძღვანელო — სწორი ქართულით საუბრის მსურველთათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული სალიტერატურო ენის ნორმები დასახელებულ და მსგავს შემთხვევებში აზრს კარგავს.

ლ ე ვ ა ნ კ ე ლ ა უ რ ა ძ ე

ქართველურ-ბურჟუაზ-ბასკური საერთო ლექსიკიდან. I (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა)

*bak'- „საქონლის სადგომი“

ს.-ქართვ. *ბაკ-//*ბაგ- > ქართ. ბაკ-ი „საქონლის სადგომი, ირგვლივ მოზღუდული, უსახურავო“; ქართ. ბაგ-ა „გომი“; ზან. (მეგრ.) ბოგ-ა „ბოსელი, ხის იატაკიანი სადგომი პირუტყვისათვის“; (ლაზ.) ბოგ-ა „გომი“; სვან. ბაგ „გომი“ : ბურ. bákur „პატარა გადახურული ბაკი“ (?) : ბასკ. (გ.) baka „არენის გვერდზე შემოღობილი ადგილი კორიდაში მონაწილე ხარებისათვის“;

მდრ.: შუმ. pag, bag „დამწყვეტევა; გალიაში ჩასმა“;

*bex- „დედალი შინაური ცხოველი“

ს.-ქართვ. *ბეხ- > ქართ. (ქართლ., ფშ., მთიულ.) ბეხ-ი „ბეხრეკი, ძალიან დაბერებული საქონელი“; [ზან. (მეგრ.)] ქართ. (გურ.,

იმერ., ლეჩხ.) ბახ-ი „უვარგისი, ძლიერ გამხდარი ცხენი“, ზან. (ლაზ.) ბახ-ი „ავადმყოფი“; სვან. ბეხ „1. დედალი ცხვარი; (ჩბხ., ლნტხ.) ჯი-შიანი, დიდდუმიანი ცხვარი, ნერბი; 2. (ლშხ.) ბეხ „გადაბერებული, ჯაგლაგი ცხენი“ : ბურ. (ი.) **behe** „დედალი (საჭმელად დაუშვებელი ცხოველების)“ : ბასკ. **behi, bei** „ძროხა“, **behor** „ფაშატი, ჭაკი“ < ს.-ბასკ. ***beh-**;

***boč//*poč-... „ხბო“**

ს.-ქართვ. ***ბოჩ//*ბუჩ-...** > ქართ. ბოჩ-ოლ-ა, ბოჩ-იკ-ა „ხბო“, (ქიზ.) ბუჩ-ინ-ა „ზაქი წლამდე“, (მესხ.) ფუჩ-ვ-ე, (ქართლ., ქიზიყ.) ფუჩ-ინ-ა „ხბო“, (მთიულ.) ფუჩინო-ფუჩინო „ხბოს მოსახმობი შეძახილი“ : ბურ. (პ., ნ.) **buşoşo**, მრ. **buşoşanc** „ხბო“, **bñšo, bñšto** „ხბოს დაძახება“, (ი.) **boşo** „ხბო“ : ბასკ. **potxo, potx, pots, botxe, putxo, putxu, putxe** „ჩოჩორის, კვიცის, ვირის, ძროხის მოსახმობი შეძახილი; ჩოჩორი, კვიცი“, **putxiko** „1. ჩოჩორის მოსახმობი შესაძილი; 2. ცხვარი ან ბოჩოლა“;

***bot'- „ვაცი“**

ს.-ქართვ. ***ბოტ-** > ქართ. ბოტ-ი (საბა) „თხის ერკემალი (=მწერბავი ცხოვარი)“; ზან. (მეგრ.) ბეტ-არ-ი „დაუკოდავი ვაცი“; სვან. (ბზ., ბქ.) ბოტა, (ლშხ., ლნტ.) ბოტ „ვაცი“ : ბურ. **buřar** „ერთ წლამდე ასაკის ვაცი“;

***bul- „ბულული“**

ს.-ქართვ. ***ბულ-** > ქართ. ბულ-ულ-ი (ქართლ., რაჭ., გუდამაყრ.) „თივის ან გათიბული პურის პატარა ზვინი“; (ნ. ჩუბინ, დ. ჩუბინ.) „თივის ხელეული, **копна сена**“; (ქიზიყ.) ბულ-ულ-ა „ფიწლით აღებული თივის თალამი (=ერთ ჯერზე ასაღები თივა)“ : ბურ. **bũuyō** „ხორბლელის ან თივის პატარა ზვინი“ : ბასკ. **buio, buiu** „ხორბლის და ჩალის ნარჩენი; განიაგების შემდეგ დარჩენილი ხორბალი“, **bulia, bilia** „ბზე, ჩეხი; ნაგერალი“;

***gal-//*gan- „დაწნული ხილი ან ბოსტნეული შესანახად“**

ს.-ქართვ. ***გალ-** > ქართ. გალ-ა (საბა) „მხალი დაწნული გასაცემობლად“, (ქიზიყ., კახ., მესხ., თუშ.) „დაწნული ხახვი, ლოლო და სხვ. დაახლოებით 1-2 მ. სიგრძისა, გარინგაზე გადაჰკიდებენ და საზამთროდ ინახავენ...; ძაფზე ასხმული და წრედშეკრული ხმელეული: ჩირი, მწვანილი, მძივი და მისთ.“ : ბურ. **gan** „ბოსტნეულის გამხმარი და დაწნული ფოთლები შესანახად; ნაწნავი; დაწნული თოკი“, **ǵáan** „ხილი, ხახვი და მისთ., თოკზე ასხმული და გასახმობად ჩამოკიდებული“; **gal** „დაკიდული ხიდი (თოკის)“.

მნიშვნელობათა — „დაწნული“ და „თოკის ხიდი“ — დაკავშირებისათვის შდრ.: მეგრ. ბონდ-ი „დაწნული; დაკიდული დაწნული ხიდი“ (< ს.-ქართვ. ***ბანდ-**);

***dol-//*dor „რქამოკლე შინაური ცხოველი“**

ს.-ქართვ. ***დოლ-//*დორ-** > ქართ. დოლ-ა (საბა) „რქამოკლე“, (ფშ., ხევს., გურ.) „ურქო ძროხა ან პირუტყვი საერთოდ“, (მესხ.) დოლ-ოკ-ა „პატარა რქა მსხვილფეხა საქონლისა“, (ხევს.) დორ-ია „ურქო ცხოველი“, დულ-ი-ა (გურ.) „რქამოტეხილი ხარი“, (შ. ფუტკარაძე, „ჩვენებულების ქართული“) დოლ-ია „ურქო პირუტყვი (თხა, ცხვარი, ძროხა)“; ზან. (მეგრ.) დულუ, დურუ, ტულუ „ურქო ან ძალიან მოკლერქიანი ცხოველი (ძროხა, თხა...)“ : ბურ. **dor** „მოკლერქიანი ვერძი“;

***thew- „ცხვრის სადგომი“**

ს.-ქართვ. ***თეუ-** > ქართ. (გუდ., მთ., მოხ., ფშ., თუშ., ქართლ.) თეო, თეო-ა „ადგილი ცხვრის ბინის განაპირას; საყარაულო ადგილი ცხვრის ფარასთან; ცხვრის ბინის გარშემო ალაგი, სადაც ძაღლები დარაჯობენ“, შდრ. აგრეთვე: (მთ. — შანიძე) თევაზე გავიდა = თეოზე გავიდა; ზან. (მეგრ.) თიბ-ი „ადგილი, სადაც ცხვარი იდგა“, თიფუ „თეო“, თეფე „1. ღამით საქონლის სადგომი (გასაჩერებელი ადგილი); 2. გადმოცემით მელოგინეს (ქალს) თავისი სადგომი კუთხე (ადგილი) ჰქონდა“ : ბასკ. **tai** „ცხვრის ბინა ქოხის გვერდზე“;

***ther-** „თრობა“

ს.-ქართვ. *თარ- > ქართ. თრ-ობ-ა, თრ-ვ-ა, მ-თრ-ვ-ალ-ი, და-ვ-ი-თუერ; სვან. ლი-თრ-ე „სმა“ : ბასკ. (ს.) **tarro** „თრობა“;

***k'ab-//*gab-** „ყბა; ლაგამი; აღვირი“

ს.-ქართვ. *კაბ-//*ყაბ-//*ლაბ-... > ქართ. ნი-კაბ-ი; სვან. კაბ-რ-ა-მ, ნი-კაბ-ა „ნიკაბი“; ქართ. ყბ-ა; სვან. ჰა-ყბ-ა „ლოყა; ყბა“, ყაბ „წვერი“; შდრ.: ქართ. (საბა) ა-ყაფ-ი, ალი-კაბ-ი „ხის აღვირი“, (დ. ჩუბინ.) ა-კაბ-ი, ა-კაფ-ი „id.“; აგრეთვე: (თუშ.) ღაბ-იშ-ი „ყბელი, ხუმარა“; (აჭარ.) ღაბ-უ-ა „ყბაყურა“, (დ. ჩუბინ.) ღაბ-ი „ნიკაბი“ : ბურ. **gabí**, (ნ.) **γábi** „ლაგამი“

შდრ.: შუმ. **kab** „ლაგამი; აღვირი“.

„ყბისა“ და „ლაგამის“ მნიშვნელობათა დაკავშირებისათვის შდრ.: გერმ. **Gebiss** „ყბა; ლაგამი“;

***mel-** „ძნა, ზვინი“

ს.-ქართვ. *მელ- > ქართ. (საბა) მელ-ეულ-ი „ფეტვის ძნეული“, (მთ., გუდ. — შანიძე) მელ-აურ-ი „ერთად მოქუჩებულები ძნები“ : ბურ. **máal** „3-4 ძნისგან შემდგარი ზვინი“;

***nal-//*nar-** „უღელი; მარხილი; სათარი“

ს.-ქართვ. *ნალ- > ქართ. ნალ-ო (საბა) „ესე არს ეტლის მაგი-ერ ზამთარ საჯდომი, უთვალო მარჯილივით თოვლზე სათრევი“; (ნ. ჩუბინ.) „მარხილივით თოვლზედ სათრეველი ზამთარ საჯდომი; სათარი, მოჭრილი ხე ურემთა და მარხილთა ზედა მობმული ტყიდან მოსათრევი“, (დ. ჩუბინ.) „მარხილივით თოვლზედ სათრეველი ზამთარში საჯდომი, **салазки**; სათარი, მოჭრილი ხე ურემთა და მარხილთა ზედა მობმული ტყიდან მოსათრეველი, **отрубленное дерево, брус**“; (ქეგლ) „1. უღლით მოთრეული დიდი მორი; 2. ურმის ბოლოში გამობმული ფიხის დიდი კონა ან ხე, რომელიც მიწაზე ეთრევა და ანელებს დაღმართზე ურმის სვლას“; (ა. ღლ.) „ბოლოთრია = ძნის საზიდი სათრეველა ურემი“; ნალ-ი (დ. ჩუბინ.) „სათხეპელი, სა-

რთხმელი (= **брус, положенный в каменной кладке для крепости**), ძელი კედელში დატანებული“; (ქიზიყ.) „ქვის კედელში დატანებული სქელი ფიცარი ან თხელი კოჭი, რომ კედელი გადააბას, შეკრას და არ გაიზაროს“ : ბურ. **nal** (ი.) „უღელი; წყვილი ხარი“, (პ., ნ.) „წყვილი, უღელი ხარი“; **náal** „თანამგზავრი, თანამებრძოლი; წყვილიდან ერთ-ერთი; (პოლოს თამაშისას) მეტოქე ან პარტნიორი“, **nalaá** „ერთად, ერთდროულად“ : ბასკ. **narra, nar, naarra, naar** „მარხილი, სათარი; ხე, რომლითაც თივას, ფიხს და მისთ. ათრევენ; ხე, რომელიც ურემს უკნიდან ებმება და მუხრუჭის ფუნქციას ასრულებს; თრევა“;

„სათარისა“ და „უღლის“ მნიშვნელობათა დაკავშირებისათვის შდრ.: ლაბ-ე (მთ. — შანიძე) „სათარი“ — ლაბ-ა (დ. ჩუბინ.) „უღელი ხართა“; არ არის გამორიცხული, ამ ფორმებს უკავშირდებოდეს სვან. ლი-ლაბ-ე „დატვირთვა“;

***naq'** - „ნაყვა“

ს.-ქართვ. *ნაყ-//*ნახ- > ქართ. ნაყ-ვ-ა, (ქიზიყ.) ნაყ-ი-ნუყ-ი „ნაყინუყით ლაპარაკი = უგულოდ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკი“; სვან. ლი-ნყ-აჟ-ალ, ლი-ნაყ-აჟ-აჟ „საუბარი, მასლაათი“ : ბასკ. **nahasi, nahastu** „არევა, შერევა; წყალში გაზავება; შედნობა“;

შდრ.: შუმ. **nağa** „ქვა-სანაყი; დაფქვა, ნაყვა“

***parcx-** „ფარცხი“

ს.-ქართვ. *ფარცხ- > ქართ. ფარცხ-ი „იარალი ხნულის ბელტის დასაშლელად, მიწის გასაფხვიერებლად“; ზან. (მეგრ.) ბუცხ-ა/ბირცხ-ა „ფრჩხილი“, (ლაზ.) ბუცხ-ა „ფრჩხილი, ფოცხი“; სვან. ლა-ფცხ-ირ, ლა-ფცხ-ირ... „ფოცხი“, ნა-ფაცხ, ნა-ფაცხ-ჟ... „ნაფარცხი“ : ბურ. **phask** „ფარცხი“;

***phač-//phat'** - „ნაწური, ნარჩენი (ცვილის, ყურძნის), ნალექი“

ს.-ქართვ. *ფაჭ-//*ფატ-... > ქართ. (საბა) ფაჭ-ა „ც'ლის ნაწური“, ფიტ-ი „თაფლის ნარჩენი“, (ნ. ჩუბ., დ. ჩუბ.) ფაჭა, ფიჭი, ფიტი „თაფლის ჩენჩო ან გადაუმდნარი სანთლის ნაძირალი“, ფიტ-ი (ქეგლ) „თაფლგამოცილი ფიჭა“, (ქართლ.) ფატ-ე „უწვნო ხილი“

(მდრ.: ზან. (მეგრ.) (<ქართ.?) პატა „ცვილის ნაწური“; სვან. ფარ „ფიტი, თაფლგამოცლილი ფიჭა“ < ?) : ბურ. **parpát** „ღვინის ნალექი“, (ი.) **phat** „ცხიმის დანალექი, გაცრის ან საჭმლის ნარჩენები“ : ბასკ. **pats** „ყურძნის და ვაშლის გამოწურვის ნარჩენები; თხლე“, მდრ. **pitar** „სუსტი ღვინო, ჭაჭით და წყლით დაყენებული“ = (ბ.) **pitikin, pitipin**;

***še-** „მატყლი, მატყლისგან დამზადებული ძაფი“

ს.-ქართვ. *შე- > ქართ. (ხევს., ფშ., მოხ.) შე „საუტეთესო მატყლისგან დამზადებული მავარი ძაფი“ : ბურ. **še** „მატყლი“;

***ček'-** „თოხი, ბარულა“

ს.-ქართვ. *ჩეკ- > ქართ. ჩეკ-ი (საბა) „ცეცხლის საჩხრეკელი“, (თიან.) „ბარულა, პატარა ბარისებრი იარაღი“, (ქართლ., მესხ., ქიზიყ., მთიულ., მოხ.) „სანისის საფხეკი ჯოკი, გუთნის საფხეკი; ცეცხლის საჩხრეკელი, ნახშირის გამოსახვეტი“, (ზ. იმერ.) ჩეკ-ო თოხი „პატარა თოხი“, (ქსნის ხეობ., მოხ.) ჩეკ-ვა „სარის, ჭიგოს წვერის წათლა“, (რაჭ.) ჩა-ჩეკ-ვა „ნახნავეში ბელტების ჩაკუწვა-დაწვრილება“...; ზან. (მეგრ.) გო-ჩაკ-უ-ა „გაჩეკვა, ჩართყმა“ : ბურ. **čak** „თოხი, თოხწერაქვი; თოხნა, ჩეხვა“, **čakčak** „მიწის გაფხვიერება“, **čake ustaat** „დურგალი“, **čhikin, čhiki, čhikum** „თავთავების, ხის ტოტების მოჭრა, ხის კენწეროს გადაბეღვა“ და სხვ.;

***čorth-** „ცხენის სირბილი“

ს.-ქართვ. *ჩო(რ)თ- > ქართ. ჩორთ-ი „ცხენის სირბილი, როცა ფეხებს ისე ადგამს, როგორც სიარულის დროს“ : ბურ. **čhoṭiṇ et-** „ცხენის სწრაფი ჰენება, ნავარდი“;

***čxa -** „ფეტვი; ღომი“

ს.-ქართვ. *ჩხა- > [ზან. (მეგრ.)] ქართ. (გურ., იმერ., ლეჩხ.) ჩხო-ი „გაუცეხველი თაველი ღომისა; ღომის მარცვალი“; ზან. (მეგრ.) ჩხი, ჩხგ „გაუცეხველი ღომის მარცვლები“, ჩხიშ(ი) კაკალ-ი „ღომის მარცვალი“, ჩხერ-ი „ფეტვი“, ჩხვერ-ი/ე „ღომის (ღომისღომის) მარ-

ცვალი; ფეტვი“, ჩხვარა ჭუკი „მეფეტვიე თავვი“, (ლაზ.) ჩხვარ-ი, მჩხვარ-ი „ღომი“ : ბურ. **čha** „ფეტვი“;

***čiškh-** „მარცვლეულის სახეობა (შვრია?)“

ს.-ქართვ. *ჭიშქ-> ქართ. (ხევს.) ჭიშქ-ენ-ი „ჩვეულებრივი შვრია“ : ბურ. **čiški (baru)** „ტკბილი წიწიბურა“;

***qar-** „ხარი; ხვნა“

ს.-ქართვ. *ვარ-//*ვან- > ქართ. ვარ-ი; ხარ-ი; ზან. (მეგრ.) ხოჯ-ი, (ლაზ.) ხოჯ-ი „ხარი“; ქართ. მო-ვ-ვან; ზან. (მეგრ.) ხონ-უ-ა „ხვნა“, (ლაზ.) ფ-ხონ-ი „მოხნა“; სვან. ვან „ხარი“, ა-ვან „მოხნა“, ა-ვან „მოხნა“ : ბურ. **har** „ხარი“, (ი.) **har-** „ხვნა“ : ბასკ. **ar**, (სპორადულად) **har** „ხვადი“;

***žal-** „ეკლიანი ღობე“

ს.-ქართვ. *ჯალ- > ქართ. ჯალჯ-ი (ნ. ჩუბინ.) „მოკაფული ეკალი კონებად შეკრული“, (დ. ჩუბინ.) „მოკრეფილი ეკალი კონებად შეკრული“; (ქართლ.) სა-ჯალჯ-ე „ადგილი ჭალაში, სადაც საგანგებოდ ახარებენ ეკლიან ბუჩქნარს (ქაცვისას, ასკილისას, ჩიტავაშლას, ძეძვისას), რომ შემდეგ აჩეხონ და ჯალჯი დაამზადონ“; ჯარჯ-ი (თ., ფშ. ა. შანიძე) „კონად შეკრული ჯაგი ღობისთვის“, (ქსნის ხეობ.) „შესაღობად მოჭრილი ფოთლოვანი ხის ტოტები, წნელი“, (იმერ.) ჯარჯ-ულ-ი „ღობე, რომელსაც წალმისგან გაკეთებული თავსახურავი აქვს წვიმისაგან დასაფარავად“ : ბურ. **žayoo** „ეკლიანი ღობე მინდვრებსა და ბაღებში“

ქართული ჯალჯ- ამოსავალი *ჯალ- ძირის რედუბლიკაციით მიღებული *ჯალ-ჯალ- ფორმიდან უნდა მომდინარეობდეს.

ციცინო კვანტალიანი

ენაში მიმდინარე ზოგი გრამატიკული ცვლილების შესახებ

ენა ვითარდება და თანდათანობით, თითქოს შეუმჩნევლად იცვლება, რაც ბუნებრივი იყო წლების წინ, დღეს უკვე მოძველებულია და სხვა ფორმით გვხვდება. ჩვენი ვალია, პროპაგანდა გავუწიოთ სწორად წერასა და მეტყველებას, მაგრამ ვალიაროთ ის ცვლილებებიც, რომლებიც ჩვენ თვალწინ ხდება და ენის განვითარების შედეგია. დღეს ეს ფორმები ბუნებრივია და აშკარად მყარი პოზიცია უკავიათ დაკანონებული წარმოების გვერდით.

გვინდა ორ მათგანზე შევჩერდეთ.

1. -ავ თემის ნიშანი უკვე დიდი ხანია იფართოებს გამოყენების არეს. ამჟამად განვიხილავთ უთემისნიშნო, არაფუძვლურად ზმნებს.

ცნობილია, რომ -ავ თემის ნიშანი აუცილებელია ზმნებში: **რეკავს, თესავს, რეცხავს, ბერტყავს, წეწავს, ხოცავს**, მაგრამ აქვე არის გავრცელებული ამგვარი ზმნების ნაწილი, რომლებთანაც მიუღებელია -ავ თემის ნიშნის გამოყენება. ასეთებია: **ტებს, ჩებს, კვეცს, ჩებს, იჩებს, იღებს, ხეთქს, ყეფს, ჭეჭს, ხვეწს, კვეთს**. ამიტომ დღეს უმართებულო ფორმებად მიიჩნევა მათი -ავ თემისნიშნის წარმოება. ამ ზმნების დიდი ნაწილი, მართლაც, არ ითხოვს -ავ თემის ნიშნის დართვას და სხვადასხვა მწკრივის ფორმებშიც ნათლად ჩანს: **კვეთს — გადაკვეთს — გადაუკვეთია** შდრ. ქუჩის **გადაკვეთა; ყეფს — დაიყეფს — დაუყეფია**, შდრ. **ყეფა; ჭეჭს, — დაიჭეჭს, დაუჭეჭია**, შდრ. **ჭეჭა-ჭუხილი**.

ამათგან განსხვავებით, არის ზმნები, რომლებიც, ფაქტობრივად, -ავ თემისნიშნისადად შეიძლება მივიჩნიოთ. დღეს თემის ნიშნის გარეშე მათ არავინ იყენებს: **ტენავს, ჩენავს, ჩენავს, იჩენავს, იღელავს**.

თუკი ეს ზმნები შეიძლება -ავ თემისნიშნისადად მივიჩნიოთ, თემის ნიშნის კვალი უნდა გამოჩნდეს მასდარში. მართლაც, არის კიდევ გავრცელებული ეს ფორმები: **ტენ-ავს — ტენ-ვ-ა, ჩენ-ავს — ჩენ-ვ-ა, ჩენ-ავს — ჩენ-ვ-ა, იჩენ-ავს — აჩენ-ვ-ა, იღელ-ავს, მოიღელ-ავს — მოიღელ-ვ-ა**.

გვიჭრობთ, მართებულად შეიძლება მივიჩნიოთ -ავ თემისნიშნის ფორმები და ამ ზმნებშიც და მასდარებშიც დავუშვათ მათი პარალელური წარმოება: **ტენ-ს || ტენ-ავ-ს, ტენ-ა || ტენ-ვ-ა; ჩენ-ს || ჩენ-ავ-ს, ჩენ-ა || ჩენ-ვ-ა; იჩენ-ს || იჩენ-ავ-ს, აჩენ-ა || აჩენ-ვ-ა; ჩენ-ს || ჩენ-ავ-ს, ჩენ-ა || ჩენ-ვ-ა; მოიღელ-ს || მოიღელ-ავ-ს, მოიღელ-ა || მოიღელ-ვ-ა**.

2. აქვე გვინდა შევეხოთ მეორე საკითხსაც — შედგენილი შემასმენლის მრავლობითი რიცხვის წარმოებას. ცნობილია, რომ თუ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი მიმღობით არის გადმოცემული, ეს მიმღობა მხოლოდითი რიცხვის ფორმით იხმარება. ეს ეხება — ებიანი მრავლობითის წარმოებას, თორემ ნართანის მრავლობითში შეთანხმება დასაშვებია, ე. ი. სწორი წარმოებაა. ისინი **კმაყოფილი იყვნენ, აღფრთოვანებული იქნებიან, გახარებული არიან**.

შესაბამისად, ნართანი მრავლობითი: **კმაყოფილნი იყვნენ, აღფრთოვანებულნი იქნებიან, გახარებულნი არიან**.

გვიჭრობთ, ასეთ შემთხვევებში ებიანი მრავლობითის ფორმებიც შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ. ფაქტობრივად, უკვე ასეც არის დამკვიდრებული. დღევანდელი ვითარება გვიჩვენებს, რომ უკვე ბუნებრივად ჟღერს: **აღფრთოვანებულები იქნებიან, კმაყოფილები იყვნენ, გახარებულები არიან**. ჩვენი აზრით, ებიანი და ნართანის მრავლობითის ფორმებს შორის არანაირი განსხვავება არ არის. თითქმის იდენტური სურათია. ამიტომ დასაშვებად მიგვაჩნია მათი პარალელური წარმოება.

რომან ლოლუა

შენიშვნები კავკასიის ალბანური ფონოლოგიური სისტემის შესახებ I. ვოკალიზმი

2009 წელს გამოქვეყნდა ი. გიპერტის, ვ. შულცეს, ზ. ალექსიძისა და ჟ.-პ. მეს მონოგრაფია “The Caucasian Albanian Palimpsests of Mt. Sinai”, რომელიც სინას მთაზე მდებარე წმ. ეკატერინეს მონასტერში აღმოჩენილი ალბანურ-ქართული პალიმფსესტების (N/Sin 13 და N/Sin

55) ვიზუალურ მასალასა და გამოკვლევას შეიცავს. მონოგრაფიაში წარმოდგენილია კავკასიის ალბანური ენის გრამატიკული მიმოხილვა (II სექცია), რომლის გარკვეული ნაწილი ფონოლოგიური სისტემის აღწერასა და რეკონსტრუქციას ეთმობა (II-1—II-20).

მიუხედავად ნაშრომის მრავალი ღირსებისა, კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემის ზოგიერთი საკითხი, ჩვენი აზრით, დაზუსტებას საჭიროებს, რაც განსაკუთრებით ვოკალიზმზე ითქმის.

II სექციის ავტორთა (ი. გიპერტი და ვ. შულცე) აზრით, კავკასიის ალბანურში 7 ხმოვანი გვქონდა, მათ შორის: 5 მარტივი ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ), ლაბიალიზებული ა^o და პალატალიზებული უ^ჟ ბგერა. აღსანიშნავია, რომ მარტივი ხმოვნების რაობა კავკასიის ალბანურში ცნობილი იყო ჯერ კიდევ ე.წ. მინგეჩაურის წარწერათა აღმოჩენის შემდეგ (ა. აბრამიანი, გ. კლიმოვი, ს. მურავიოვი და სხვა) და აღნიშნული მონოგრაფია არ წარმოგვიდგენს ახალ თვალსაზრისს ამ საკითხის შესახებ. გასარკვევი იყო მხოლოდ მეორე რიგის ხმოვანთა ფონემური ღირებულება.

კავკასიის ალბანურ ანბანში ხმოვნებისათვის 6 ნიშანი გვქონდა (ა, ე, ი, ო, უ), ხოლო ორი ხმოვანი დიგრაფებით გადმოიცემოდა (ა-ჟ და უ-ჟ). ამათგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მარტივი ხმოვნების რაობა დადგენილია, ესენია: ა (ა), ე (ე), ი (ი), ო (ო) და უ (უ). ლ გრაფემა ეჟ დიფთონგს აღნიშნავდა,¹ უ და უჟ ნიშნები კი, ჩვენი აზრით, ფარინგალიზებული ხმოვნების (ო^ჟ და უ^ჟ) აღმნიშვნელობები უნდა ყოფილიყო.² ამის შესახებ მეტყველებს ის, რომ უდიურში ამ ასო-ნიშნებს, როგორც წესი, შეესატყვისება ფარინგალიზებული ო^ჟ და უ^ჟ ბგერები, შდრ.:

კავკ. ალბანური

- ა-ჟ (თო^ჟწ^ჟან) „ლეღვის ხე“
- ა-ჟ (ტო^ჟ) „მხარე“
- ა-ჟ (უ^ჟწ^ჟ) „ქეჭის“
- ა-ჟ (ვუ^ჟღ^ჟ) „შვიდი“
- ა-ჟ (მუ^ჟღ^ჟ) „რვა“

უდიური

- თო^ჟწ^ჟან „id“
- ტო^ჟღ^ჟ „id“
- უ^ჟწ^ჟ „id“
- ვუ^ჟღ^ჟ „id“
- მუ^ჟღ^ჟ „id“

უნდა აღინიშნოს, რომ უ და ა-ჟ ასო-ბგერებს უდიურში შეიძლება სხვა რეფლექსები ჰქონდეს: უ ასო-ნიშნის ზოგჯერ არაფარინგალიზებული ო ბგერა შეესატყვისება, მაგ.: აჟ (ჟ^ჟწ^ჟო^ჟ) „ოცი“ — უდ. ჟო „id“... ა-ჟ დიგრაფს კი უდიურში შეიძლება შეესატყვისებოდეს როგორც არაფარინგალიზებული უ ბგერა, ასევე ფარინგალიზებული ი^ჟ (ნიჯ. გ^ჟ), მაგ., აჟ-ჟ (ჟ^ჟუ^ჟკ) „გული“ — უდ. უკ „id“; აჟ-ჟ (ჟ^ჟწ^ჟუ^ჟ) „შიში“ — უდ. ჟი^ჟწ^ჟ (ვართ.)//ჟ^ჟწ^ჟ (ნიჯ.) „id“... მიუხედავად ამისა, არ გვაქვს არავითარი საფუძველი მივიჩნიოთ, რომ ეს ასო-ნიშნები ლაბიალიზებულ ა^o-სა და პალატალიზებულ უ^ჟ ბგერას აღნიშნავდა. უ ნიშანს უდიურში, როგორც წესი, ა ბგერა არ შეესატყვისება, ხოლო ა-ჟ დიგრაფის ერთ-ერთი შესაძლო რეფლექსი ი^ჟ/გ^ჟ — უ ბგერისა და ე.წ. ირაციონალურის ხშირი მონაცვლეობით უნდა აიხსნას და არა პალატალიზებული უ^ჟ ბგერის არსებობით კავკასიის ალბანურში. ამასთან ერთად, ლაბიალიზებული და პალატალიზებული ხმოვნები, ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, თითო-თითო წევრი-თაა წარმოდგენილი და ვერ ქმნიან მწყობრ სისტემას.

„ფარინგალიზებული ხმოვნები“ კავკასიის ალბანურში კი, ჩვენი აზრით, პირიქით, მწყობრი სახით გვხვდება — ა, ი და ე ბგერების ფარინგალიზებული ვარიანტები. გრაფემათა კომპლექსებითაა გადმოცემული: აჟ ა^o, აჟ ე^o, აჟ ი^o; მაგ.: აჟ-ჟ (ვ^ჟწ^ჟან) „თქვენი“ — უდ. ვან „id“; აჟ-ჟ (კ^ჟწ^ჟან) „უდაბნო“ — უდ. ჟან^ჟწ^ჟან „მინდორი“; აჟ-ჟ (ბ^ჟწ^ჟე^oღ^ჟ) „მზე“ — უდ. ბე^ჟწ^ჟღ^ჟ „id“; აჟ-ჟ (ბ^ჟწ^ჟე^oწ^ჟ) „თქვენი“ — უდ. ე^oწ^ჟი „id“; აჟ-ჟ (წ^ჟი^oმუხ) „ყურები“ — უდ. (ი^oმუხ) „id“... გრაფიკული კომბინაციები აჟ (წ^ჟო^ჟ) და აჟ-ჟ (წ^ჟუ^ჟ), იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ გვხვდება.

საყურადღებოა უ და ა-ჟ ხმოვანთა მონაცვლეობის შემთხვევები, რითაც ასევე დასტურდება, რომ საქმე გვაქვს არა ლაბიალიზე-

¹ ამასთან ერთად, ლ ნიშანი ბერძნულიდან ნასესხებ სიტყვებში ი-ს შეესატყვისება, მაგ.: აჟ-ჟ (აჟ-ჟ-ჟ) (აჟ-ჟ) — ἀλλοιῖα „ალილია“; აჟ-ჟ (ამენ) — ἀμην „ამინ“ და ა.შ. ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, ლ ნიშანი გრძელი ე ხმოვნის აღსანიშნავადაც უნდა გამოიყენებოდეს, რასაც ვერ გავიზიარებთ.

² შესიტყვებას „ფარინგალიზებული ხმოვნები“ ვიყენებთ პირობითად. იზრდება იმ მკვლევართა რიცხვი, ვინც, გ. დეტერსის მსგავსად, ფარინგალიზაციას განიხილავს არა სეგმენტურ თვისებად (ხმოვნისა თუ თანხმოვნისა), არამედ პროსოდის თვისებად.

გამოხატავენ (ისევე როგორც ამ მწკრივის პრევერბიანი ზმნები); | შედეგობითის **-ენ-**სუფიქსიანი სახეობა ადმირატივის შემთხვევაშიც გამოიყენება: **ლოხსგი, მასუ ნაჭმენა!** — „შეხედე, რამდენი უთიბავს (=„ნათიბი ჰქონია“)!“ — აქ უკვე ნათლად ჩანს, რომ მთქმელი მისთვის უნახავი, მოულოდნელი მოვლენით გაოცებას გამოხატავს და წინადადებაც, შესაბამისად, ძახილისაა.

3. სვანურ გარდამავალ ზმნებში **-ენ-** სუფიქსის ჩართვა | შედეგობითში სემანტიკაზე სხვა მხრივაც ახდენს გავლენას: თუ ოდენ - ამაწარმოებლიანი უზმნისწინო ფორმები წარსული მოქმედების შედეგს ასახავენ აწმყოში (**ხოგრა** „უწერია“=„ნაწერი აქვს“), **-ენ-**იანი მონაცემები გამოხატავენ წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს წარსულშივე (**ნაგრენა** „უწერია“=„ნაწერი ჰქონია“); ეს ლექსემები, პირველთაგან განსხვავებით, უპირობოდ, ორგანულად შეიცავენ „თურმე“-ს გავებას, უნახაობას, პირველნი კი მოქმედების აქტის გამოსახატავად ან **ენწარ** (ბზ.)/**ენწარი** (ბქ.) („თურმე“) ნაწილაკს საჭიროებენ, ან — სხვათა სიტყვის ნაწილაკებს: **როქუ, ესერ** („ო“).

4. ჰიპოთეტურად დასაშვებად მიგვაჩნია, რომ სვანურის ნამყოსრულის **-ენ-** და ქართულის II თურმეობითის ე. წ. ნაკაუზატივარი - **ინ-** აფიქსები, ასევე II თურმეობითის დიალექტურ ფორმებში გამოვლენილი **-ნ-** („დაეხატნა“, „შეეკერნა“) მხოლოდ მატერიალურ სიახლოვეს კი არ ამჟღავნებენ ერთმანეთთან, არამედ ფუნქციურსაც; ვვარაუდობთ, რომ ისტორიულად **-Vნ-** მორფემა (მასთან სხვადასხვა ხმოვნის განვითარება შესაძლოა ფონეტიკურად ან ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპით აიხსნას) ისტორიულად სწორედ მოქმედების უნახაობას (დისტანციას მთქმელსა და ნათქვამს შორის) გამოხატავდა. საგულისხმოდ მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ კონტაქტი (ქართ. -ინ-, -ეგინ-; სვ. -უნ-) გამოხატავს დისტანციას მორფოლოგიურ სუბიექტსა და ობიექტს შორის, მოქმედების აქტი (სვ. -უნ-, -ენ-) კი — დისტანციას ტექსტის სუბიექტსა და მოვლენას შორის.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

ყვირილის ხეობის ჰიდრონიმია

მდინარე ყვირილა სათავეს იღებს კავკასიონის მთისწინეთში, ჯავის რაიონის ერწოს ტბის დასავლეთი ნაპირიდან. მდინარე დასავლეთით მიედინება კლდოვან კანიონებში. მთიან მხარეში ყვირილა არ გამოიყენებოდა სატრანსპორტო და საკავშირებელ საშუალებად. ამიტომ ხეობაში თითქმის არ გვხვდება ჰიდრონიმის გადატანა დასახლებულ პუნქტზე.

ძირითადად წარმოვადგენთ ჯავის რაიონის სოფლების — ჯალაბეთის, ზემო და შუა ქარზმანის, სინაგურის, თედლეეთის, ხახიეთის, ტბეთის — ჰიდრონიმებს, რომლებიც საინტერესოა ენობრივი თვალსაზრისით, როგორც ორი — ქართლური და იმერული — დიალექტის მოსაზღვრე ობიექტები.

ვახუშტი ბაგრატიონს თავის „აღწერაში“ დასახელებული აქვს მდინარე ყვირილა და რუკაზეც აქვს დატანილი, მაგრამ არ ასახელებს დასახლებულ პუნქტებსა და ყვირილას შენაკადებს, რომლებიც საკმაოდ არის გავრცელებული მთიანი რელიეფის გამო.

ხეობის ჰიდრონიმია აქამდე არ ყოფილა მეცნიერულ მიმოქცევაში; იგი ძირითადად ქართულია, მცირე გამონაკლისის გარდა. ჰიდრონიმებში ასახულია წყლის გემო, ფერი, სუნი, თევზის სახეობა, მოქმედება და სხვ., რაც საზოგადო ლექსიკის ნაწილია, ასევე სპეციალური ტერმინოლოგია რაც თავისებური ინდიკატორებია.

ჰიდრონიმული ობიექტების საწარმოებლად გვხვდება წყალი, წყარო, ღელე: საშვავის წყარო, მჟავე წყალი, ხიხათის წყალი, ვახნისის ღელე, წოისის ღელე და სხვ.

ჰიდრონიმთა ძირითადი მაწარმოებლები -ურ, -ულა, სუფიქსები ზოგჯერ იცვლება -არ და -ურ სუფიქსებით, რაც შეიძლება დიალექტური მოვლენით აიხსნას: ტოფ-არ-ა, ნიგვზ-არ-ა, ფაშნ-არ-ი, ჯახვლ-არ-ი, უწ-ურ-ი...

ლექსემა **ღელე**, განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოსაგან, სადაც ის ოროგრაფიული მნიშვნელობით არის გამოვლენილი, ყვირილას ხეობაში ჰიდროგრაფიული მნიშვნელობით არის გამოყენებული:

სინაგურის ღელე, ვახნისის ღელე და სხვა. მოხსენებაში წარმოვადგენთ სხვა მაგალითებსაც.

რ უ ს უ დ ა ნ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

ზოგიერთი ფრაზეოლოგიზმისათვის ფერეიდნულში

ფერეიდნულ დიალექტში ქართული და სპარსული ენების სამასწლიან კონტაქტთან გვაქვს საქმე. ფერეიდნელები იზოლირებულნი არიან როგორც ქართული დიალექტების, ასევე სალიტერატურო ქართული ენისაგან და სტრუქტურულად განსხვავებული სპარსულის ძლიერ გავლენას განიცდიან. ეს გავლენა განსაკუთრებით იგრძნობა ლექსიკაში. ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესოა ფრაზეოლოგიზმებიც.

გამოვიყენეთ 2008 წლის ნოემბერსა და 2009 წლის მარტში ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მივლინებისას ჩაწერილი მასალა. მივლინება განხორციელდა პროექტის — „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი“ — ფარგლებში.

ფერეიდნული დიალექტის შესწავლისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპარსული ენის გავლენით გაჩენილი ახალი ფორმებისა და ლექსიკის შესწავლას. ფრაზეოლოგიზმები საინტერესოა როგორც სტრუქტურული, ასევე ლექსიკის თვალსაზრისითაც. ფერეიდნულში მოვიძიეთ ის ფრაზეოლოგიზმები, რომელთაც სპარსული ენის მონაცემებით ეძებნება ახსნა. მაგალითად მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს:

ფერეიდნ. გული თანგი გაქ } „მოწყენილი ხარ“

გული თანგი შაგქნია } სპ. del tang šodan „მოწყენა“.

(სპ. del „გული“, სპ. tang „ვიწრო“,

სპ. šodan „გახდომა“)

ფერეიდნ. აბრუ არ დუგულორონ — „არ შეგარცხვინონ“ —

სპ. ābru rixtan „შერცხვენა“ (სპ. ābru „ღირსება“, „რეპუტაცია“, სპ. rixtan „დაღვრა“).

ფერეიდნულ დიალექტში სამ და მეტ კომპონენტებიან ფრაზეოლოგიზმებშიც ისეთივე სურათია, როგორც რთული ზმნების შემთხვევაში: სახელი ნასესხებია სპარსულიდან, ან სახელიცა და ზმნაც წარმოადგენს სპარსული რთული ზმნის სიტყვასიტყვით თარგმანს.

ამგვარი მოვლენები უხვად გვხვდება სპარსულიდან თარგმნილ საშუალო ქართულის ლიტერატურული ძეგლების ენაში და განხილული გვაქვს „რუსულდანიანის“ მაგალითზე.

მ ე რ ა ბ რ ო ბ ა ქ ი ძ ე

„მოცალებობის“ სემანტიკისათვის „ვეფხისტყაოსანში“

1. „მოცალებობის“ ცნება „ვეფხისტყაოსანში“ (23,2) კონცეპტუალურ ხასიათს ატარებს. იგი, ვფიქრობთ, სულ სხვა მნიშვნელობას შეიცავს ვიდრე აქამდე შესრულებულ გამოკვლევებშია მოწოდებული.

2. ვახტანგ V1 იძლევა მთლიანად სტროფის საღვთო განმარტებას და „მოცალება ესმის როგორც „მოცლა“, „მოცლილობა“: **„ახე მოცლას ეუბნება სოფლის ზრუნვა სასუფეველის მეტი არა ჰქონდეს რაო“.** მარჯორი უორდრობი „მოცალებობას“ ინგლისურად თარგმნის სიტყვით **Leisure**, რაც იგივე „მოცლილობაა“ — ფუფუნება-განცხრომისათვის საჭირო დრო. ნ. მარის რუსული თარგმანით — **должен иметь досуг**. პ. პეტრენკომ გადმოსცა **будь свободен**. შ. ნუცუბიძემ — **покой**. სომხ. თარგ-ში ტერმინმა „აზატ“, ასატურმა „აზატ ლინი“ — თავისუფალი — დროის ქონების მნიშვნით. კ. კაპანელი — „მოცალება“ — თავისუფალი. ა. შანიძე — „მოცალებობა“ — თავისუფალი დროის ქონება.

2. გ. იმედაშვილი აღნიშნავდა: „სიტყვა მოცალებობა, ჩვეულებრივი გაგებით, თითქოს უნდა ნიშნავდეს: მოცლა, მოცლილობას, დროს, რომელიც ადამიანს სჭირდება ამა თუ იმ საქმის, **ამ შემთხვევაში მიჯნურობის, სიყვარულის თავდადებული სამსახურისათვის.** ასე ესმის ეს სიტყვა „ვეფხ“-ის ყველა კომენტატორსა და მთარგმნელს უკანასკნელ დრომდე. უმრავლეს შემთხვევაში კი ის თავის თავადაც იმდენად გასაგებად მიუჩნევიათ, რომ მისი განმარტება არც უცდიათ.

გარკვევით უნდა ითქვას, რომ ეს სიტყვა არ შეიძლება ნიშნავდეს **მიჯნურთა ტოლსწორობას** (რომლის დამტკიცების მცდელობას კიდევ ერთხელ ვხვდებით ამ საკითხისადმი მიძღვნილ ერთ ბოლოდროინდელ ნაშრომში), თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენთვის საინტერესო სტროფში ლაპარაკია **„მიჯნურთ ზნეობაზე“**, ასეთი კი არ შეიძლება იყოს ისეთი სოციალური დატვირთვის მქონე შინაარსის სიტყვა, როგორცაა „ტოლსწორობა“. ამავე მიზეზით გამოირიცხება „თავისუფალი ღროის ქონა“, რათა მიჯნურმა „მოიცალოს“ მიჯნურობისთვის. ნ. მარის, ა. შანიძის გ. იმედაშვილის, ე. ხინთიბიძის ი. კალაძის, კ. დანელიას შეხედულებები „ვეფხისტყაოსნის“ **„მოცალების“** გაგებასთან დაკავშირებით არ უნდა იყოს სწორი, რადგან „მოცლილობა“, „ტოლსწორობა“, „აზროვნება და ფიქრი მიჯნურზე“, ისევე როგორც „სიწყნარე-სიმშვიდე“, არ შეიძლება მოვიაზროთ როგორც **მიჯნურობის რუსთველური კონცეფციის** შემადგენელი ნაწილი, რადგან **„მოცალება“** პოემის პროლოგში განიხილება ამ თეორიის მთლიან კონტექსტში მიჯნურობის თეორიის ორგანულ ნაწილად („ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა“).

3. „ცალ“ და მისგან ნაწარმოები ფორმები სემანტიკურ პლანში კატეგორიულად გულისხმობს რიდაცისგან ან ვიდაცისგან **განთავისუფლებას (გამოთავისუფლებას), ცალკე** ყოფნას, განცალკევებას, გამოცალკევებას, (შდრ. **ცალ-ცალკე** = გამოყოფით, განმარტოებით), დისტანცირებას, ინდივიდუალიზირებას, **ცალად (მარტო, განკერძოებით)** ყოფნას. შდრ. არ დაარჩენს **ცალიერსა** არ ყმასა და არცა ქალსა (55, 4) (=უარაფროდ, საჭურჭლის გარეშე). პოემაში ნათქვამია აგრეთვე: „აზრად არად აღარა **მცალს**“ (126,3); „არა **მცალს** სმენად მაგისად“ (885,1); „მაწყენ, არა **მცალს**, დამეხსენ“ (886,4); „შენ ჩემად არა **გცალს**“ (1008, 2); „მიკვირს, რად **სცალს** წყლიანობად“ (764, 2); „არად **სცალს** თავისა ბერებად“ (784, 3); „არა **მცალდა** სევდისაგან თავის კრძალვად“ (369, 1); „არა **სცალდა** საუბრად და არცა ჭკრეტად“ (500, 3).

4. „ვეფხისტყაოსანში“ **„მოცლა“** რამდენჯერმე გვხვდება “თავისუფალი ღროის“ მნიშვნელობით. მოვიყვანთ სათანადო ადგილებს: მიჯნურზე ნათქვამია: „იკონებდეს, მისგან კიდევ ნურაოდეს **მოცლეების**“ (31,30); „წავიდა მონა საუბრად მის ყმისა გულ-მღულარისად.../

ახლოს მივიდა, **მოსცალდა** სიტყვისა თქმად აღა რისად“ (86,4); „ვით გრივამან ჩაირბინა, არ **მოსცალდა** ჭკრეტად მათად“ (867,4); */ტარიელი/* „ადრე **მოვიცლი** იმათგან, ღმერთი და ჩემი ბედია (1162,3); */უსენი/* ვაჭრობისა საქმისაგან **მოვიცალით**, იგი ვნახით“ (1162,3); */თინათინი/* „მონახეთ, ძებნეთ იგი ყმა, სხვად ნურად **მოიცლიდეთა**“ (115,3). *სავთანდილი/* „მიგანთა მცველთა **მოვიცლი** მე უნახავად ჭირისად“ (1401).

5. ამოსავალი, პირველადი ინტენცია **„ცალ“** სიტყვისა ქართულ ენაში **„ერთის“, ერთეულის** მნიშვნელობას მატარებელია: „მე-ულლე ჩემი მომიკლეს, დავეხეტები **ცალად**“ (=მარტო, მარტოდმარტო); „**ცალხელა**“, „**ცალფეხა**“ „**ერთი ცალი**“; „**ცალუდელი**“; „**რამდენი(მე) ცალი**“. „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება „ხელითა **ცალითა**“ (1041,2). ამავე ძირიდან განვითარებულია „მსგავსების“ სემანტიკა: „შენი **ცალი** (=მსგავსი) უნდა ვიყო, რომ გეხუმრო“ („გლახის ნაამბობი“). **ერთის, მარტოს, განცალკევების** მნიშვნელობა **„ცალ“** ძირიდან ნაწარმოებ ზმნურ თუ სახელურ ფორმებშიც საგრძნობია. მეტიც — მოუცილებელია. ამ გარემოების გათვალისწინებას, ჩვენი აზრით, შემოაქვს სწორედ საჭირო გაგება „ვეფხ“-ის პროლოგის საკვლევი სიტყვის სწორ ინტერპრეტაციაში.

6. „მოცალების“ ჭეშმარიტი შინაარსი „ვეფხ“-ის პროლოგში უკავშირდება პოემაში წარმოდგენილი მიჯნურობის ისეთ დამახასიათებელ ატრიბუტს, როგორცაა **„გაჭრა“**, რაც უცილობლად და კატეგორიულად გულისხმობს **მარტოობას**, საზოგადოებისგან მოწყვეტას (იზოლირებას), სხვათაგან დისტანცირებას, მარტოდ, ეულად ყოფნას, განცალკევებას, **„მოცალებას“**. **„გაჭრა“**, როგორც მიჯნურის დამახასიათებელი ფენომენი, ნიშნავს განმარტოებას, განცალკევებას, **მარტოდ, ცალკე** ყოფნას. მიჯნური უნდა განმარტოვდეს (თუნდაც შინაგანად), „გაიჭრას“, **„მოცალებდეს“**. ამას მთელი ის სტროფი გვიდასტურებს, რომელშიც როდესაც შერმადინი ევედრება ავთანდილს — „წამითანე სამსახურად, მოგეხმარო, რადცა გინდი“ — ავთანდილი ეუბნება შერმადინს: „თუ **მიჯნური** ვარ, **ერთი** ვხამ ხელი მინდორთა მე რებად, / არ მარტო უნდა **გაჭრილი** ცრემლისა სისხლსა ფერებად? შემდეგ დასძენს: „**გაჭრა** ხელია მიჯნურთა“ (784). ფრიად დამახასიათებელია **„გაჭრის“** იდეის გამოსაკვეთად ავთანდი-

ლის ნათქვამი (ავთანდილი შერმადინს): „რა მიჯნური ველთა რბოდეს, **მარტო** უნდა **გასაჭრელად** (162,2);

7. ჩვენ მიერ შესწავლილი მასალა ნათლად გვიდასტურებს, რომ განსახილველი ტაეპის „**მოცალეობა**“ შეიცავს **განმარტობის, ცალად** (მარტოდ) ყოფნის სემანტიკას, რაც „მიჯნურთ ზნეობის“ ატრიბუტია. ეს სიტყვა პოემაში კონცეპტუალური მნიშვნელობის შემცველია და სხვა სამიჯნურო ზნეობათა (=წესების) (სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყმე, ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა) ფონზე მოიაზრება როგორც „**ცალად**“ ყოფნა, **განმარტობა, განცალკევება, მარტოობა.**

ნ ა რ გ ი ზ ა ს უ რ მ ა ვ ა

ფონეტიკური პროცესები იმერხევის მეტყველებაში (2009-2010 წწ. მასალების მიხედვით)

მოხსენებაში წარმოვადგენთ ისტორიული სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი კუთხის — იმერხევის მეტყველების ფონეტიკურ მიმოხილვას ვიდეომატარებელზე ჩაწერილი მასალების მიხედვით. ცხადია, ეს არ არის სრული აღწერითი ანალიზი, არამედ უფრო მასალა ასეთი ანალიზისათვის. საკითხების განხილვისას მივმართავთ მომიჯნავე დიალექტებთან (მესხური და აჭარული) შეპირისპირებას.

იმერხეული მეტყველება არ არის ერთგვაროვანი და მისი ქვედიალექტურ სისტემებად დიფერენცირება საგანგებო კვლევას საჭიროებს. ქცევებრივი განსხვავებანი ვლინდება ფონეტიკური და ლექსიკური ვარიაციების სახით.

გვხვდება ენისძირისმიერი ყრუ ფშვინვიერი **ჭ** ბგერა. იგი გამოკვეთილად ისმის სიტყვებში: *ჯარი, საჯრე, ჯევი, ჯელი, ჯმა, ჯბო, ჯმელი* (დაჯმა, აჯმობს), *გაჯდება, გჯოცავთ, ბაჯალა*. ჩამოთვლილ ფუძეებში **ჭ** გვაქვს ძველ ქართულშიც. **ჭ** ბგერის გამოყენების ინტენსივობა ქცევების მიხედვით განსხვავებულია.

გავრცელებულია **ძ, ც, ჯ** რთულ ბგერათა დეზაფრიკატიზაციის

პროცესები ხშირი ელემენტის დაკარგვით, რაც უეჭველად ბილინგვიზმს უკავშირდება: **ძ>ზ**: *ზე* (რძე), *ზმა* (ძმა), *ზალი* (რძალი)... **ც>ხ**: (სხვამა არ *ისიან*, მე *ვისი*). **ჯ>ჟ**: *გორჟულო* („*გორჟულოს* გავაკეთეთ“), *გურჟული* (გურჯული).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სუბიექტური პირველი პირის ნიშნის მეტათეზისი მომდევნო ფუძისეულ თანხმოვანთან: „*ჭვამთ*, იქიდან ვილოფთ, *ჭვამთ*“. „ამ თვალიდან წორეთ ვერ *ხვედავ*“. „აქაც *თვესავთ*, *ჭვამთ*“.

ხშირია ზმნისწინისეული ხმოვნის ასიმილაციური ცვლილებები, გამოწვეული ზმნური ხმოვანი პრეფიქსების მიერ. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს დისტანციური რეგრესული ასიმილაციური პროცესები, რაც შეიძლება ჩაითვალოს სამხრეთ-დასავლური კილოებისათვის ზოგად სპეციფიკურ მახასიათებლად.

ა) აღსანიშნავია სრული რეგრესულ-დისტანციური ასიმილაციის შემთხვევა ასიმილატორი ხმოვნის დაკარგვის თანამდევ მოვლენით: სუბ. I პირის **გ-** ნიშნის შემდგომი **ი** პრეფიქსი ზმნისწინისეულ **ა** და **ო** ხმოვნებს ცვლის **ე**ად. აჭარულში ასეთ შემთხვევაში ასიმილატორი ხმოვანი, როგორც წესი, იკარგვის ხოლმე, რაც დიფთონგიზაციისაკენ მიდრეკილებით აიხსნება (*გვიჯუჯუჯუჯე*). იმერხეულში ორივე ვარიანტი გვხვდება, თანაც — ერთსა და იმავე მთქმელთან. მასიმილირებელი **ი** ხმოვანი **სახეზეა**: *გევიპარე; დევიჭიროთ; გევიქნე...* ასიმილატორი **ი** **რედუცირებულია**: *დევნახე; გეგვონეთ; შევნახავთ.*

ანალოგიურ ცვლილებებს ადგილი აქვს **ვიდ-** ზმნაშიც, ზმნისწინისეული **ა, ე, ო** ხმოვნებისა (ა-, წა-, გა-, გადა-, შე-, მო- ზმნისწინები) და ფუძისეული **ვი-**ს ურთიერთქმედების შედეგად (*წევიდენ; გეგდა; მეგდა*).

მო- ზმნისწინის დართვის შემთხვევაში დასტურდება **ვიდ-** ზმნის განსხვავებული სახეცვალება: **მოიდა**<მოვიდა (ხმოვნებს შორის ფუძისეული **ვ** ბგერის რედუქცია). შეუძლებელი არ არის მოვდა ფორმაც.

ბ) ობიექტური პირველი და მეორე პირის პრეფიქსების (მ-, გვ, გ-) მომდევნო **ი** **პრეფიქსს** იმერხეულში შეუძლია მოახდინოს როგორც **ნაწილობრივი** რეგრესულ-დისტანციური ასიმილაცია (*გემიხთა, დემიჭირეს, დევიჭირვენო, დეგვითესია*) ისე **სრული** (არ დიმი-

ნახავს; გიგეკეთო; შივიჭამენ).

ასიმილაცია **ნაწილობრივია** — ზმნისწინისეული **ა**ე:

გ) ყურადღებას იქცევს მოსალოდნელი **მო-** ზმნისწინის ნაცვლად **მი-** ზმნისწინის გამოყენება ობიექტურ პირველ-მეორე პირებში ზოგ შემთხვევაში. მაგალითები:

„ერთი დიდი ზმა მიმივა მაართო აქ სოფელში, ჰოო. ის მუა იშტე, სახლ-კარ უყურებს. იშტე ახლა დიდი ზალი მიმივდა და...“

„ძილი რომ მივივა, (ვიტყვით) დათლიმა. მივივა ძილი, დახუჭავ“.

„ოდლუშალიც მიმიკვდა ორი წელიწადია“.

„წრველ არ მიმიდულეგბია და შარშანდელია.“

„მივიყვანეს, წყალი არ ქვქონდა, ა, იქიდან მივიყვანეს, კარ-ჩხლიდან.“

„მოკლული არ მყავს (გველი), დანახული მაქ და არ მიმიკლავს.“

ეს მოვლენა ახსნილია როგორც მომდევნო ქცევის ნიშნისეული **ი** ფორმანტის მიერ ზმნისწინისეული **ო** ხმოვნის სრული რეგრესულ-დისტანციური ასიმილაცია (ჯორბენაძე, 1989, 579). ჩვენი მასალა ამ ახსნას სავესებით ექვემდებარება — ყველა მაგალითში, სადაც **მო-** : **მი-** აღინიშნება, მომდევნო პოზიციაში დისტანციურად დასტურდება **ი** პრეფიქსი. ეჭვს ბადებს ის, რომ **მო->მი-** ფონეტიკური გარდასახვა ისეთ სისტემურ ხასიათს არ ატარებს, როგორც **ა** ხმოვნის შემცველ ზმნისწინებში და პარალელურად იხმარება (და უფრო მეტი სიხშირითაც) იმავე ზმნათა **მო-** ზმნისწინიანი ფორმები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ძველ ქართულში დადასტურებულია **მი** და **მო** ზმნისწინთა მონაცვლეობა ობიექტურ მეორე პირში (მოცა/მიცა), **მო** ზმნისწინის ნაცვლად **მი-**ს გამოყენება შენიშნულია საშუალო ქართულის ძეგლებში. ამდენად, ბოლომდე ვერ გამოვრიცხავთ, რომ იმერხელ მეტყველებაშიც **მო-** : **მი-** ზმნისწინთა მონაცვლეობას ჰქონდეს ადგილი.

მო- ზმნისწინი **მა-**ს სახეს იღებს მომდევნო **ა** პრეფიქსის მასიმილირებელი გავლენით. მაგ.: *ამასხა; გაარყევ-გამაარყევ*; „ქვიები მაყარეს“.

ა- ზმნური პრეფიქსის გავლენას განიცდის **შე-** ზმნისწინიც — **შე-<ში-** დისიმილაციურ პროცესს ადგილი აქვს არა მხოლოდ კონტაქტური, არამედ დისტანციური ზემოქმედებით. მაგალითები: „მა-

წონ შივაყენებლით“; „შევაცივეფთ, ამუტუკიდფთ ფქვილს“; „შევაგამარილფთ.“

ყურადღებას იქცევს სრული რეგრესულ-კონტაქტური ასიმილაცია ზმნისწინისეული **ა** ხმოვნისა მომდევნო **ი-** პრეფიქსის (ვნებიტის მაწარმოებლის) მიერ, **ჩა+ი > ჩი+ი**: *ჩიქორფლის; ჩიწურვის*. წა+ი> წი+ი: *წილფბ*. მსგავს შემთხვევებში აჭარულისათვის ბუნებრივია: ნაწილობრივი ასიმილაცია + დიფთონგიზაცია (*ჩეფურვის, ჩეჭორფლის*).

უ- ქცევის მაწარმოებელი პრეფიქსის შემთხვევაშიც, კონტაქტური ასიმილაცია ზმნისწინისეული ხმოვნისა მომდევნო პრეფიქსის მიერ, შეიძლება იყოს **ნაწილობრივი** (*დოუძახფთ; გოუშვით; დოუხუჭავ*) ან **სრული** (*დუუხუჭავ; მუუნდება*).

ჩვენი მასალებით, იმერხელში ჭარბობს ნაწილობრივი ასიმილაციის შემთხვევები, განსხვავებით **აჭარულისაგან**, სადაც ასიმილაცია, ჩვეულებრივ: ა) სრულია და ისწრაფვის ხმოვანთა შერწყმისაკენ ან ბ) ნაწილობრივია და სრულდება შემდგომი დიფთონგიზაციის პროცესით. იმერხელი ნაწილობრივი ასიმილაციით (*აუ<ოუ*) უახლოვდება მესხურსა და დასავლურ კილოებს (ბერიძე, 1988, 209).

იმერხელს დიფთონგიზაციისკენ მიდრეკილება ახასიათებს ფუძის ბოლოს, **ა-ურ/ა-ულ** კომპლექსში (*აქვერი*); — **ულ** სუფიქსიან მიმღებებში: *დაჩვევლი, დატველი, არველი*. (შდრ. აჭარული: *აქავრი, ხელვაჩავრი*).

სახელების ბოლოკიდურში შეინიშნება დასავლური კილოებისათვის ბუნებრივი ფონეტიკური პროცესები. ამის მაგალითები არც თუ ისე ხშირია: **ლობი** („მეგრე ხაშრი **ლობი** ხაშარზე ავა“); **რაცხეთ** („*რაცხეთ* გინდა იმით მოშჯარ ის“).

-ებ მრავლობითის სუფიქსთან გვხვდება იგივე კომბინატორული ფონეტიკური ცვლილებები, რაც აჭარულსა და მესხურ-ჯავახურში: ა) ხმოვანფუძიან სახელებში ასიმილაციის შემდგომი დისიმილაციის შესაძლო პროცესი: *ქვაებია>ქვეები>ქვიები, გზიები* (ჭგ *ზიები* ჩაწოლილი იყო“); ბ) ერთმარცვლიან ფუძეთანხმოვნიან სახელებში **-ებ** სუფიქსის წინ **ი** ხმოვნის განვითარება შეკუმშული ხმოვნის საკომპენსაციოდ: *ბლიები < ბლეები, წყლიები* („ახლა *წყლიები* მიგვიყვანეს“), *ჯვლიები*.

რეფლექსურობა ორაქტანტიან გარდამავალ ზმნებში

რეფლექსურობა ბინარული მიმართებაა. ის თავის თავზე მოქმედებას გულისხმობს. ჩვენს ენობრივ სინამდვილეში რეფლექსურობის, როგორც კატეგორიის რეალიზაციისათვის აუცილებელი პირობაა სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის რეფერენციალური და ფუნქციური იდენტურობა გარდამავალ ზმნებში და სუბიექტის მოქმედების უკუქცევა საკუთარ თავზე გარდაუვალ ზმნებში.

ორაქტანტიან გარდამავალ ზმნებში სუბიექტის რეფლექსური მიმართება თავის თავთან შეიძლება გამოიხატოს სუბიექტის ზემოქმედებით პირდაპირ ობიექტზე, რომელიც ფუნქციურად ამავე სუბიექტის იდენტურია. ასეთი ვითარება გვექნება სასუბიექტო ქცევის ზმნებთან, რომელთა შესიტყვებაში პირდაპირი დამატების პოზიცია დაკავებულია „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელით. მხოლოდ ანალოგიური სტრუქტურის შესიტყვებებში იქნება დაცული რეფლექსივის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის სრული რეფერენციალური იდენტურობა. ასეთი ზმნური შესიტყვებებია: თავს იგდებს, თავს გაიტანს, თავს იღებს, თავს იზღუდავს, თავს იკავებს, თავს იკლავს, თავს ირთობს, თავს ირჩენს, თავს იტანჯავს, თავს იტკივებს, თავს მოიდრეკს და სხვ.

დასახელებულ შესიტყვებათაგან ზოგიერთი მათგანი (თავს იკავებს, თავს იმტვრევს, თავს იტენს, თავს იტკივებს) პოლისემიურია, იხმარება, როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით. პირდაპირი მნიშვნელობით წარმოდგენილ შესიტყვებებში „თავი“ სომატური სახელია, გადატანითად ხმარებისას შესიტყვებაში სომატური სახელის კონკრეტული მნიშვნელობა იშლება და ზმნასთან შერწყმული უკუქცევითი ნაცვალსახელის ფუნქციას იძენს; შესაბამისად იცვლება შესიტყვების სემანტიკაც:

შდრ.: **თავს იკავებს** — თავს იმაგრებს, წონასწორობას იცავს.

მელქისედეკი თავს ძლივს იკავებდა ჯორზე (კ. გამს.) || გადატ. მოთმინებას არ კარგავს. ანთო ბაბაღე, გაბრაზდა, მაგრამ თავს მა-

ინც იკავებდა (ქეგლ IV)...

თუ გარდამავალზმნიან შესიტყვებაში პირდაპირი დამატების პოზიციაში სომატური სახელი „თავი“ დგას, მაშინ სუბიექტისა და პირდაპირი დამატების მიმართება მთელისა და ნაწილის მიმართებას ასახავს, ე.ი. სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი არ არიან კორეფერენტულები.

თუ ამავე პოზიციაში უკუქცევითი ნაცვალსახელი „თავი“ არის წარმოდგენილი, მაშინ სუბიექტი და პირდაპირი დამატება კორეფერენტულები არიან და, შესაბამისად, მათ შორის მიმართება რეფლექსურია.

რეფლექსურობის მნიშვნელობას ამ რიგის შესიტყვებებში „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელი გამოხატავს და, ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ უკუქცევითობა ნეიტრალური ქცევის ფორმებითაც შეიძლება გამოიხატოს, თუკი ეს ფორმები პირდაპირ დამატებად „თავი“ უკუქცევით ნაცვალსახელს შეიწყობს: თავს იღებს, თავს გადადებს, თავს აჩვენებს, თავს წირავს, თავს წააგებს...

ი- პრეფიქსი პირდაპირი დამატების სუბიექტისკენ მიმართებას (კუთვნილება-დანიშნულების მიმართებას) აფიქსირებს და არა სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ფუნქციურ იდენტურობას. ის დამატებითი პირობაა რეფლექსურობის რეალიზაციისათვის.

ასე რომ, ორაქტანტიან გარდამავალ სასუბიექტო ქცევის ზმნებში რეფლექსურობა არსებითად შესიტყვებებში „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელის გამოვლენას უკავშირდება.

როგორც ჰ. პაული აღნიშნავს: წინადადებაში **Er hat sich getötet** „მან თავი მოიკლა“ ქვემდებარის ურთიერთობა დამატებასთან სრულად შეესაბამება ქვემდებარე-დამატების ურთიერთობას წინადადებაში **Er hat ihn getötet** „მან ის მოკლა“. მაგრამ აქ წარმოდგენა მოქმედ სუბიექტისა და წარმოდგენა ობიექტზე, რომელზედაც გადადის ეს მოქმედება, გამოცალკევებულია ერთმანეთისაგან, მაშინ როცა წინადადებაში **Er hat sich getötet** ეს წარმოდგენები ერთმანეთს ერწყმის და უკუქცევითი ზმნა გამოხატავს სუბიექტში ჩაკეტილ პროცესს, თუმცა ეს შერწყმა ფუნქციურია და არა ფორმალური.

თავს იკლავს რიგის შესიტყვებათა კატეგორიულური სტატუსის ძიება ქართულში ბევრ საკითხს წამოჭრის.

სუბიექტის სიმრავლის ჭარბად აღნიშვნისათვის აქტივთა და მედიუმთა ფორმებში

სუბიექტის სიმრავლის ჭარბად გამოხატვა ძველ ქართულში ახასიათებდა პრეფიქსიან ვნებითებს: წავიკიდ-ენ-ი-თ, წავეკიდ-ენ-ი-თ (შდრ.: „...მერე მედგრად წ ა ი კ ი დ ნ ე ს“ „ვეფხისტყაოსანი“: 910₁)¹.

სიმრავლის -ენ(~ -ნ) სუფიქსი ჭარბია პასივთა აღნიშნულ ფორმებში, რადგან სუფიქსიან ვნებითებსა და აქტივთა ფორმებში I და II პირების სიმრავლე მხოლოდ -თ სუფიქსით იწარმოებოდა (აღვამალღებ-თ, აღვამალღებთ-თ...). ჭარბად ჩაითვლება {-ენ} სუფიქსი -თ სუფიქსის გვერდით პრეფიქსიან ვნებითებში.

„ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება აქტივთა და მედიუმთა ფორმები, რომლებშიც სუბიექტის სიმრავლე პასივთა ზემოთ მითითებული მოდელით არის წარმოდგენილი: „თვითო ტოტი ერთმანერთსა ჰკრეს, სიკვდილსა არ დაჰკრიდნეს“ (910₂); შდრ. „მათ აკოცეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაჰკრიდეს“ (284₁).

მითითებულ 910-ე სტროფშია დაამუშვიდნეს აქტივიც, რომელშიც -ნ სუფიქსი სუბიექტის სიმრავლეს გამოხატავს -ეს სუფიქსთან ერთად: „ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერვინ დაამუშვიდნეს“ (910₄).

საყურადღებოა პრეფიქსიან პასივთა მრავლობითი რიცხვის წარმოების მოდელის განვრცობა უნიშნო ვნებითთა და აქტივ-მედიუმთა მრავლობითი რიცხვის ფორმებში.

¹ ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1966.

სისინა და შიშინა სიბილანტთა პრობლემა ქართველურ ენებში

ქართველურ ენებში ფონებათშესატყვისობანი ვლინდება ხმოვნებსა და სიბილანტებში, აგრეთვე თ, ლ, რ თანხმოვნებთან. გადახვევები რეგულარულ კანონზომიერებათაგან თითქმის ყოველთვის იხსნება კომბინატორული ცვლილებებით.

პრექართველურ ენაში ისტორიულად ივარაუდება თანხმოვანთა წინასიბილანტური (სისინა), შუასიბილანტური (სისინა-შიშინა, შდრ. აფხაზური ენის ფონოტაქტიკა) და უკანასიბილანტური (შიშინა) რიგები, რომელთაგან პირველი მათგანი იდენტურ რეფლექსებს იძლეოდა ფონემათშესატყვისობის დონეზე, მეორე — უკანასიბილანტური რიგის ეკვივალენტებს წარმოადგენდა, ხოლო მესამე უკანასიბილანტურ და ველარულ თანხმოვანთა კომპლექსებს (გ.მაჭავარიანი). ზოგჯერ მიმდინარეობდა გასისინების (ზანური შგ > სვანური სგ) პროცესიც, ოღონდ მხოლოდ ბილაბიალი უ სონანტის წინა პოზიციაში (თ. გამყრელიძე, გ. კარტოზია).

მონათესავე ენათა დიფერენციაცია დიალექტების დონეზე იწყება. ბგერათა ცვლილებების პირველი საფეხური, რამაც შემდეგ რეგულარული შესატყვისობანი მოგვცა, ქართველურ ენათა ისტორიულ კილოებში უნდა ვეძიოთ.

ამგვარი პოტენცია სხვადასხვა დიალექტში სხვადასხვა დროს ერთსა და იმავე შედეგს იძლევა. ამიტომაც ქართველური ენების კანონზომიერ ფონემათშესატყვისობათა ანალოგები დღესაც არსებობენ თანამედროვე დიალექტებში, თუმცა მათ სპორადული (და არა რეგულარული) ხასიათი აქვთ ... ხშირად ის, რაც კილოებში სუბსტიტუციის, ანუ აუხსნელი ბგერათცვლილების ნიმუშად განიმარტება, ზედმიწევნით ემსგავსება იმას, რასაც ქართველურ ენათა დონეზე ბგერათშესატყვისობად განიხილავენ (ჯორბენაძე 1995: 50-56, 90-93).

ხანდახან მოსალოდნელი სისინა სპირანტისა თუ აფრიკატის ნაცვლად ქართველურ ენათა დიალექტებში შეიძლება შიშინაც შეგვხვდეს ან — პირიქით.

ხნ-ოლ- ფუძე სხვადასხვა მნიშვნელობისაა ქართული ენის დიალექტებში: იმერულსა და ლეჩხუმურში იგი „კვამლს“ ნიშნავს (და **ხრჩ-ოლ-ვა**ს უკავშირდება), აჭარულში — „წნელის რგოლებით ასხმულ საბმელს“; ხოლო ჯავახურში — „წნელს“. გურიაში „ჩიტის ბადის საქსოვ ხელსაწყოს“ ეწოდება **ხხ-არ-ი**, ხოლო თავად „საქსოვ ჩხირს“ — **ხხ-აშ-ი** / **ხხ-აუ-ი**; იმერეთში „წვრილ ჩხირს“ **ხხ-იკ-ი** ჰქვია, ხოლო „გამხმარი წნელისაგან გაკეთებულ ცოცხს“ **ხხ-ოკ**ს უწოდებენ გურიაში. ხუთივე ლექსემა ძალიან ჰგავს ზანურის სტრუქტურის ფუძეს (მდრ. **ო-ნ-ჩხ-აკ-ალ-ე** „თხილის საბერტყი ჯოხი“).

ამკარაა, რომ ძირში ყველგან **ჩხ-** კომპლექსია ან მეტათეზისის შედეგი **ხჩ-**; სვანური ლი-**შხ**-ერ („პობა, სკდომა“) შეიძლება იყოს ქართული **ჩხ-ერჩხ-ირ** ძირის სპირანტიზებული სახე. მოსალოდნელია, რომ **ლი-ჩხ-ინ-ე** („გაჩხირვა, გარჭობა“) იმავე **ჩხ-** ძირის შემცველი მასდარია.

იმავე ჰარმონიული კომპლექსის სისინა ვარიანტიც (**ცხ-**) გვხვდება ყველა ქართველურ ენაში: ძველ ქართულში „სართავი მოწყობილობის ჯოხი“ არის **ცხ-ემ-ლ-ი**, **ცხ-ემ-ლ-ა** კი გურულ დიალექტში „რცხილა“-ა. ჯავახეთში **ცხ-ემ-ლ-ი** არის „ქსელში ნართის გასაყრელი ხე“, თუმცაში კი „წინდისა და ხელთათმანის საქსოვ რკინის ჩხირებს“ **ცხ-ემ-ლ-ებ-ი** ჰქვია (მხ. რ. **ცხ-ემ-ლ-ი**). „ფიჩხის“ აღსანიშნავად მეგრულში **ცხ-ვ-ეკ** იხმარება, ხოლო ლაზურში — **ცხ-იკ**. სვანურში **ცხეკ** (ბზ., ქს.)/**ცხიკ** (ზს.) „ტყეს“ აღნიშნავს. იგივე ძირი ჩანს ჩოლურული მეტყველების **ცხ-გბ-ერთ** („წვრილი წნელი“), **ცხ-გნტ-რ-წლ** („წვრილი გამხმარი შტოები“) ფორმებში და ზემოსვანურ **ცხ-ირ** („ხიწვი, ხიჭვი“) ფუძეში. **ცხ-ეკ-ნ-ელ-ა** ტოპონიმი (გაუქმებული სოფლის სახელწოდება) სამცხეში (ბერიძე 2005:148).

მამასადამე, „წნელის > ჯოხის > ჩხირის > ტყის“ აღსანიშნავად ქართველურ ენებში გამოიყენება ერთი და იმავე ჰარმონიული კომპლექსის როგორც სისინა (**ცხ-**), ისე შიშინა (**ჩხ-**) ვარიანტები ქართულშიც, მეგრულშიც, ლაზურშიც და სვანურშიც, რაც **ერთგვარად არღვევს კომპარატივისტული ქართველოლოგიის ძირითად პრინციპებს**¹.

¹ შიშინა და სისინა სიბილანტთა აღრევის შესახებ ქართული ენის დიალექტებში იხ. ჩვენი სტატიები: „პირველად და მეორეულ ფონემათშესატყვისობათა“

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

ტაქსონომიური სისტემატიკის საკითხისათვის თანამედროვე ლექსიკოგრაფიაში

ტრადიციული გაგებით ლექსიკოგრაფიის ცნების შინაარსში მოიაზრებოდა თეორიული და პრაქტიკული ლექსიკოგრაფია. ე. წ. ახალმა ლექსიკოგრაფიულმა სიტუაციამ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ამ ცნების ტრადიციულ გაგებაში. „არატრივიალურ ლექსიკონთა ეპოქაში“ (ტ. ვინოკური) კომპიუტერულმა ლექსიკოგრაფიამ თავისი არსის საფუძველზე გამოკვეთა ის ნიშნები, რითაც უდავოდ შეიძლება მისი კუთვნილი ადგილის განსაზღვრა ლექსიკოგრაფიის ტაქსონომიურ სისტემაში. ეს ნიშნები მთლიანობაში აისახება ლექსიკონთა იმ ტიპოლოგიაში, რასაც გვთავაზობს კომპიუტერული ლექსიკოგრაფია.

სწორედ იმის გამო, რომ კომპიუტერულ ლექსიკოგრაფიას ლექსიკონთა საკუთარი ტიპოლოგია აქვს, ცხადია, არამართებულია მისი წარმოდგენა პრაქტიკული ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთ საფეხურად. კომპიუტერული ლექსიკოგრაფია სრულიად დამოუკიდებელი რგოლია ლექსიკოგრაფიის ტაქსონომიურ სისტემატიკაში. ამიტომაც მივიჩნევთ, რომ ტაქსონომიური განხილვით თანამედროვე ლექსიკოგრაფია მოიცავს: თეორიულ, პრაქტიკულ და კომპიუტერულ ლექსიკოგრაფიას. აქ წარმოდგენილი მოტივაციის საფუძველზე, განზოგადებული და იერარქიულად მოწესრიგებული, სტრუქტურირებული სახით, ლექსიკოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი ლინგვისტური დისციპლინის, შინაარსობრივი რაგვარობა ასეთია:

ლექსიკოგრაფია

1.0 თ ე ო რ ი უ ლ ი ლ ე ქ ს ი კ ო გ რ ა ფ ი ა

1.1. ლექსიკოგრაფიის თეორია

1.1.1. ლექსიკოგრაფიის ცნება (მოცულობა, შინაარსი, სტრუქტურა)

ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში“, „ივერია“, პარიზი, 2004-2005 და ფონემათშესატყვისობათა ორი რიგი ქართველურ ენებში, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები, თბილისი, 2005.

- 1.1.2. ლექსიკოგრაფიის ლექსიკოლოგია
- 1.1.3. ლექსიკონთა ტიპოლოგია (კლასიფიკაცია, ჟანრები, ტიპები)
- 1.1.4. ლექსიკონთა სტრუქტურა
- 1.1.5. ლექსიკონთა კონსტრუირება
- 1.2. ლექსიკოგრაფიის ისტორია
 - 1.2.1. ლექსიკონთა ისტორია
 - 1.2.2. ტიპურ ლექსიკოგრაფულ პრობლემათა გადაწყვეტის ისტორია
- 2.0. პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ლ ე ქ ს ი კ ო გ რ ა ფ ი ა
 - 2.1. სალექსიკონო მუშაობის დაგეგმვა და ორგანიზაცია
 - 2.2. პირველადი სალექსიკონო მასალების შეგროვება; კარტოთეკები, სადოკუმენტაციო ფონდი
 - 2.3. ლექსიკონთა და ლექსიკონური ტიპის ნაშრომების შედგენა
 - 2.4. სადოკუმენტაციო ფონდის შევსება და დაცვა
- 3.0. კ ო მ პ ი უ ტ ე რ უ ლ ი ლ ე ქ ს ი კ ო გ რ ა ფ ი ა
 - 3.1. ელექტრონული (მანქანური) ლექსიკონები
 - 3.1.1. მონაცემთა ბაზები
 - 3.1.2. მონაცემთა ბაზებთან მიმართვის რეჟიმები.

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

**გუტურალ-თანხმოვანთა შესატყვისობისათვის
იბერიულ-კავკასიურ ენებში**

ს.-კავკ. *გ

(1) ს.-ქართვ. *ბრეგ- „დარტყმა“ (ბრეგ-ა „დარტყმა“, ბრიგ-ა „დაარტყა“, ზან. (ლაზ.) ო-ბრანგ-ალ-უ „რახუნი“, სვან. ლი-ბრეგ-ე „დარტყმა“) “ ს.-სინდ. *ბგა- „მსხვრევა; დავარდნა“ (აფხ. ა-ბგა-რა, აბაზ. ბგა-რა „დავარდნა, დაცემა, დამსხვრევა“) “ ს.-დალ. *გაბ- „დარტყმა; რქენა“ (ანდ. ჯაბი- ←*გაბი- „დარტყმა: კვლა“, თაბ. ელე-გ II ჰე-გ „რქენა, ბრძოლა“);

(2) ს.-ქართვ. *ა-გარ-ა „ნაგებობა, სახლი/გომური“ (ქართ. აგა-

რა, აგარა-კ-ი, ზან. (მეგრ.) ანგვარა (←*ოგორა) „ბაკი, წინაეზო გომურისა“, სვან. ჰაგამ (←*ჰაგარ) „გომური“) “ ს.-ნახ. *ო-გან- „ერთგვარი ნაგებობა“ (იჩქ. ოგანდე, ინგ. ოგანდე ბაცბ. ოგან⁵⁷ „ერთგვარი, სამეურნეო ნაგებობა“) “ ს.-სინდ. *გტარ- „შემოკავებული ადგილი“ (ყაბ. გტარ-ან „შემოკავებული ადგილი საქონლის დასამწყვდე-ვად“) “ ს.-დალ. *გორ- „ლობე, შემოკავებული ადგილი“ (ხუნდ. გორ-ენ „შემოკავებული ადგილი საქონლისათვის“, თაბ. გურ, წახ. გორ, ბუდ. გირ-იჯ (←*გტირ-იჯ) „ლობე, შემოკავებული ადგილი წინაეზო-ში“);

(3) ს.-ქართვ. *გად- „წვივი; მუხლი“ (გაზ-ი, გაზ-ე-ბ-ი „წვივები; წვივის ძვლები“, ზან. გოჯ-ი II გონჯ-ი „მუხლი“, სვან. განზ (←*გაჯ) „წვივი“, „წვივის ძარღვი“): ს.-ნახ. *გად-V „ფეხის ნაწილი“ (ინგ. გოად (←*გაძუ) „ფეხის ერთი ნაწილი“) “ ს.-სინდ. *გტაც-ა „წვივი; ნაკუთალი“ (აფხ. ა-შარ-გტაცუ „წვივი“, უბიხ. ლა-გატცა „ნაკუთალი“) “ ს.-დალ. *გტად- „ჩლიქი, ქაჩაჩი“ (ხვარშ. გუზ „იდაყვი“, დარგ. ჯუტ II ფუტ „ჩლიქი“, ალ. ჯუტაცუ „ქაჩაჩი“);

(4) ს.-ქართვ. *გომ- „მაღლობი, მაღალი ადგილი“ (ქართ. გომ-ი „მაღალი ადგილი“, ზან. (მეგრ.) გუმ-ი, ტომ. გუმ-ის-თა (←*გუმ-იშ-თა)) “ ს.-ნახ. *გუტ- „ბექობი, ბორცვი“ (იჩქ. გუტ „ბორცვი“, ინგ. გუტ „ბექობი, ბორცვი“, ბაცბ. გუტ „კუნძული“) “ ს.-სინდ. *გტებ- „გროვა, შექუჩება“ (აფხ. ა-გტებ, აბაზ. გტებ, ალ. ქტებ, ყაბ. გტებ, უბიხ. ქტებ „გროვა, ჯგუფი, შექუჩება“) “ ს.-დალ. *გუბ- „ბორცვი, გროვა“ (დიდ. გუბ, ხვარშ. გუბ, ბეჟ. კუბი-დო „ბორცვი“, გროვა“, ლეზგ. კაბალ, თაბ. კაბალ, კრიწ. კაბალ, ბუდ. კეპლ „გროვა“);

(5) ს.-ქართვ. გორ- „გროვა, გორება“ (ქართ. გორ-ვა, გორ-ე-ბ-ა, ზან. (ლაზ.) ო-ნგორ-უ „გორება, გორვა“, ო-რგ-ინ-უ „ტრიალი“, მეგრ. დო-რგ-ინ-აფ-ა „დაგორება“, სვან. ლი-გტრ-ან-ე „გორვა“) “ ს.-ნახ. *გურ- „ბორბალი“ (იჩქ. გურ-მა „ბორბალი გუთნისა“, ინგ. გურ-ა „გუთნის ბორბალი“) “ ს.-სინდ. *გტარ- „გორვა; რგოლი“ (აბაზ. გტრ-გტრ „რგოლი“, ალ. ჩარა-ზგ-, ყაბ. ჯარა-ზგ „გორვა“) “ ს.-დალ. *გორ-/გურ- „რგოლი, ბორბალი, გორვა“ (ხუნდ. გორ, ახვ. გორო, კარ. გური „რგოლი, ბორბალი“, ხუნდ. გირ-, კარ. გური-ლ „გორვა“, ჰინ. გემერ-დიდუ, ინხ. გერმა, ბეჟ. გერ-დიდო, ჰუნზ. გერ-დუ „მრგვალი“, ლაკ. ქაურ (←*გურ) „გორვა“);

(6) ს.-ქართვ. *მგელ- „მგელი“ (ქართ. მგელ-ი, ზან. (ლაზ.) მგერ-ი II მგეი, მეგრ. გერ-ი II ნგერ-ი) “ ს.-ნახ. *ბერგ- „მგელი“ (იჩქ. წუოყ-ბერგ, ინგ. წოყ-ბერგ „თოვლის ავაზა“ ← ეტ. „ჭრელი მგელი“) “ ს.-სინდ. *ბაგა- „ტურა, მელა“ (აფხ. ა-ბგა „ტურა“, აბაზ. ბაგა „მელია“, ად. ბაჯა, ყაბ. ბაჟა, უბიხ. ბაგ-ა-შუ „ტურა“) “ ს.-დალ. *ბაგრა- „მგელი“ (დარგ. -ბუგ, სიტყვაში დუგელი-ბუგ „მაჩვი“, ხინ. გრა (←*ბგრა) „მგელი“) “ შუმ. ფირიგ ←*ბირიგ „ლომი“.

ს.-კავკ. *ქ

(1) ს.-ქართვ. *ქალ-ა „მცირე ნაგებობა; კარავი“ (ქართ. ქალა (ქიზ.) „კარ-ფანჯრის ჩარჩოს ზემოთა ნაწილი“, ზან. (მეგრ.) ქოლო „კასრი“, სვან. ქელ (←*ქალა) „კარავი“) “ ს.-სინდ. *ქალ-ა „ქოხი“ (აფხ. ა-ქალა, აბაზ. ქალა, ად. ჩალ, ყაბ. ჩელ „ქოხი“) “ ს.-დალ. *ქელ-ი „ნაგებობები (მცირე)“ (ხუნდ. ქული II ქულო, ანდ. ქული, ახვ. ქილა, ტინდ. ქილა, კარ. ქილე, ბაგვ. ქილა „მცირე საკარმიდამო ნაგებობები“);

(2) ს.-ქართვ. *რე-ქუ-/*დე-ქუ-/*ქუ- „თქმა, ძახილი“ (ქართ. რქვა „დაღუძახა, სთქვა“, ზან. თქუ-ალ-ა „თქმა“, მეგრ. რაქუ-ალ-ი „ხმამაღლა საუბარი“, სვან. რექუ- „თქმა“, ლი-ქუ-ისგ „თქმა“) “ ს.-ნახ. *დე-ქ- „დაძახება, ხმოზა“ (იჩქ. დექ-არ, ინგ. დექ-არ, ბაცბ. დექ-არ „დაძახება, ხმოზა“) “ ს.-სინდ. *ქუ- „ფიცი, რწმენა; ძახილი“ (აფხ. ა-ქუ-რა, აბაზ. ქუ-რა „ფიცი“, ად. მა-ქუ-გნ, ყაბ. მა-ქუ-გნ, უბიხ. ქუ-ან, ა-სქ-უ-ან „ძახილი, რწმენა“).

(3) ს.-ქართვ. *ქატ-ო „ქათო“ (ქართ. ქათო, ზან. (მეგრ.) ქუტ-ია „მცენარე, თხები ძლიერ ეტანებიან“, სვან. გატ II ვატ (←*ქატ) „ქათო“) “ ს.-ნახ. *ქატ-ე „ქერი“ (იჩქ. ქადე, ინგ. ქადა) “ ჰურიტ.-ურარტ. ქადე II ქატე „მარცვალი, ქერი“ “ ხათური ქაით „ქერი“ “ ს.-დალ. *ქად- „მარცვალი; შვრია“ (დიდ. ქუდი, ხვარზ. ქუდე, ინხ. ქუდე, ბეჟ. გუდო, ლაკ. ჩათი (←*ქათი) „საკვები“, ლეზგ. ვად, თაბ. ვად „მარცვლეული, პურეული“);

(4) ს.-ქართვ. *ქერს-ალ- „თმა, ბალანი, ჭარი“ (ქართლ. გერსლ-ი „გინგლი, თმა, ბალანი“, მოხ. ქარსლ-ი „თხელი ტყავი“, ზან. ქარშ-ი, შდრ. ქართ. (← ზან.) ქარშ-იკ-ი, სვან. გარშა II ←

გარშაშა (←*გარშაშ) „ჭარი, გველის პერანგი“) “ ს.-ნახ. *ქარს-„თმის, მატყლის ბაწარი, თოკი“ (იჩქ. ქარს II ქარს „საბელი“, ინგ. ქარს „ცხენის თმის ბაწარი“, ბაცბ. ქარს-ან „თხის მატყლის ბაწარი, თოკი, საბელი“) “ ს.-სინდ. *ქუას- „ფაფარი“ (აფხ. ა-ქუგუშ „თმის გვირგვინი თავზე“, ად. საქუ, ყაბ. სოქუ „ფაფარი“) “ ს.-დალ. *ქუას- „მატყლი, ნაწნავი“ (ხუნდ. ქუას II ქუაშ „მატყლი“, დიდ. ქოს „ბიბილო“, დარგ. ქუს-ალა „ფრთა“, ლეზგ. ქუშ, თაბ. ქუშ „დალალი, ნაწნავი“);

(5) ს.-ქართვ. *ქუას- „ბალახის ცოცხი“ (ქართ. —, ზან. (ლაზ.) ო-ქოს-ალ-ე „ცოცხი“, მეგრ. ქოს-უ-ა „გამოცოცხვა“, ო-ქოს-ალ-ი „ცოცხი“, სვან. ქუას II ქუას-ი „ბალახის ცოცხი“) “ ს.-ნახ. *ქეს- „მარცვლეულის, ბალახის სვრელი“ (იჩქ. ქეს, ინგ. ქეს „მომკილი ბალახის ან მარცვლეულის სვრელი“) “ ს.-დალ. *ქას-უ- „მკა, ჭრა; საჭრელი იარაღი“ (ხუნდ. ქა-შუ „თივის საჭრელი მოწყობილობა“, დიდ. ქოს, ბეჟ. ქუს-უჟ, ჰუნზ. ქოშ „მკა, მოჭრა, კრეჭა“, არჩ. ქის „ჩანგალი, ფიწალი“);

(6) ს.-ქართვ. *ქურდ-ემ-ალ- „გრდემლი“ (ქართ. ქურდემლ-ი, ქვირდემლ-ი, ზან. (მეგრ.) ქულამურ-ი (←*ქურდამურ-ი) „გრდემლი“, სვან. ქურილ II ქურილ (←*ქურილ) „გრდემლი“) “ ს.-ნახ. *ქურდ-„ერთგვარი დიდი ღუმელი“ (იჩქ. ქურ-ქ ←*ქურდ-ქ, ინგ. ქურ-ქ ←*ქურდ-ქ „საკვრავი დიდი ღუმელი“) “ ს.-სინდ. *ქურდ-ა „კული; ხელ-შუბი“ (ყაბ. ჯგდა ←*გგდა „კული“, უბიხ. გგტუტ „შუბი, ხელშუბი“).

ს.-კავკ. *კ

(1) ს.-ქართვ. *მკალ- „კალია“ (ქართ. მკალ-ი, კალ-ია, ზან. (ლაზ.) ნკოლ-ი II კოლ-ი, მეგრ. კოლ-ი „კალია“) “ ს.-ნახ. *კალ-ე „კრაზანა, ბზიკი“ (იჩქ. კაღლა, ინგ. კაღლ, ბაცბ. კელ „კრაზანა, ბზიკი“) “ ს.-სინდ. *კა-ა „ნემსიყლაპია“ (ად. პჰაუ II ← პკაუ „ნემსიყლაპია“, ყაბ. პჰაუ „ნემსიყლაპია“) “ ს.-დალ. *კარ-ა „კოლო, ბუ-ზანკალი“ (ხუნდ. კარან II კარა, ანდ. კარა, ახვ. კარა „ბაღლინჯო“, ბაგვ. ჭმარა ←*კარა, ლოდ. კარა „კოლო, ბუზანკალი“, ბეჟ. ქაღლ, ჰუნზ. ქელო „კოლო“);

(2) ს.-ქართვ. *კურ-კურ- „წვეთი“, პკურ- „წვეთობით სითხის მისხმა“ (ქართ. კურ-კურ-ი, კუკურ-ი „წვეთი“, პკურ-ებ-ა, სვან. კუკუ

„წვეთი“) “ ს.-ნახ. *კიკ- „წვეთი“ (ბაცბ. კიკ „წვეთი; მივი“) “ ს.-სინდ. *კუარ- „წვეთი, ცვარი“ (აფხ. ა-კუარ-მა, აბაზ. კუარ-მა „წვეთი, ცვარი“) “ ს.-დალ. *კაკ- „წვეთი“ (ბეჟ. კაკ II კაკა, ჰუნზ. კაკა „წვეთი“);

(3) ს.-ქართვ. *კაკ-ალ- „კაკალი, მარცვალი“ (ქართ. კაკალი-ი, სვან. კაკალ II კაკალ „კაკალი, მარცვალი“) “ ს.-ნახ. *კიკ-ელ- „ხილი (ნაყოფი“)“ (ბაცბ. კიკელ „ხილი, ნაყოფი“) “ ს.-სინდ. *კაკ-ან „თხილი; კვერცი“ (აფხ. ა-კაკან „თხილი“, აბაზ. კაკან „თხილი“, ად. ჭანჭა II ← კაკან „კვერცი“) “ ს.-დალ. *კარკ-ან- „კენკრა; კვერცი; მარცვალი“ (ხუნდ. კორკონუ „კენკრა; ყურძენი“, ანდ. კორკონ, ჭამ. ჭაჭა⁵ ← *კაკან, ტინდ. კეკამა, კარ. კარკან, ბოთლ. კარკამუ, ბაგვ. კაკან, ლოდ. კარკანუ „კვერცი“, დიდ. კიკი, ხვარშ. კაკა, ბეჟ. კაკე, ჰუნზ. კეკე „შემწვარი მარცვალი“);

(4) ს.-ქართვ. *ჭუტ- „ქვაბი (პატარა)“ (ქართ. წუტ-ალ-ა „სპილენძის პატარა ქვაბი“, ზან. (ლაზ.) ჭურკ-ი II ჭუკ-ი „ზოგადად ქვაბი“, ჭუტ-ან-ი „დიდი ქვაბი“) “ ს.-ნახ. *ჭუტ- „ყანწი“ (იჩქ. ჭუგ, ინგ. ჭუქ, ბაცბ. ჭუქ „სასმისი, ყანწი“) “ ს.-სინდ. *ჭუტ- „ვარცლი“ (აფხ. ა-ჭუტუ, აბაზ. ჭუტუ „ვარცლი“) “ ს.-დალ. *ჭუტაკ- „ვარცლი; კოვზი, ჯამი“ (ხუნდ. ჭიკ-არო „კოვზი“, ლაკ. კიჭ-უ „ჯამი“, კიჭ-ალა „ჩამჩა, ვარცლი“, დარგ. კუწ-ულ „კოვზი“, თაბ. ჭაყ-ა, ად. ჭაყ, არჩ. ჭაყუ „დოქი; კოვზი“);

(5) ს.-ქართვ. *ტკუ- „დინება“ (ქართ. მ-ტკუ-არ-ი, ზან. (ლაზ.) მ-ტკუ-არ-ი (ჰიდრ.)) “ ს.-სინდ. *ტკუ- „დინება, წვეთა; ლღობა“ (ყაბ. ტკუ-გნ, ად. მღლა-ტკუ-ან „წვეთა, დინება“, შდრ. ს.-ჩერქ. ტკუ- „დნობა, ლღობა“) “ ს.-დალ. *ტაკუ- „წვეთი, წვეთა; დინება“ (ხუნდ. ტინკ, ანდ. ტონკ-ილ, ჭამ. ტიკ-ანა, ტინდ. ტიკ-უნ „წვეთი“, ახვ. ტიკ-უნ-, ხუნდ. ტინკ-, ანდ. ტონკ-უნ-, ჭამ. ტიკ-უნ- „წვეთა, დინება“, ად. ტინკ, რუთ. ტანკ, წას. ტანკ, კრიწ. ტგკ-გნ, ბუდ. ტიკ, ხინ ტგნგ „წვეთი“);

(6) ს.-ქართვ. *კოკ-ელ- „ქუსლი“ (ქართ. (ქიზიყ.) კოკელ-ი „ქუსლი“, ზან. (მეგრ.) კონკერ-ი „კანჭი, წვივი“) “ ს.-ნახ. *კუტაკ- „ქუსლი“ (იჩქ. კანგ, ინგ. კოგ, ბაცბ. კშაკ „ქუსლი“) “ ს.-დალ. *კუტაკ- / *კუტიკ- „წვივი, მუხლი“ (დიდ. კაკა „მუხლი“, დარგ. კინკ II კაკა „წვივი“, ად. კეკ, უდ. ქააქააზ, ხინ. კუკა „მუხლი“, შდრ. ლეზგ. კერკემ „ნაკურალი“).

(1) ს.-ქართვ. *ძარღუ- „ძარღვი“ (ქართ. ძარღუ-, ძარღუ-ი II ძარღვი, ზან. ჯერღვი ← *ჯორღვი „ძარღვი“, სვან. ჯარღუ „ძარღვი“) “ ს.-ნახ. *ძორღ- „კუჭი“ (იჩქ. ძუორხ, ინგ. ძორხ II ძორღ, ბაცბ. ძორხ „კუჭი“) “ ს.-სინდ. *ძაღუ-ა „ხაზი; ჯაჭვი“ (აფხ. ა-ჭუალუა „ხაზი“, ად. წგრღუ „ჯაჭვი“) “ ს.-დალ. *ძირღუ- „ჯაჭვი, მუხლუხი; ხაზი“ (ლეზგ. წირღ „ჯაჭვი“, თაბ. წირღუ „ხაზი“, რუთ. წირღუ ← *წირღუ „მუხლუხი“);

(2) ს.-ქართვ. *ღაწუ- „წაწვი, ლოყა“ (ქართ. ღაწუ, ღაწუ-ი II ღაწუ-ი, ზან. (ლაზ.) ღვანწკ-ილ-ი, მეგრ. ღვანწკ-ი „ლოყა“, სვან. ღაწუ-ა ← *ღაჭუ-ა „ღაწვი“) “ ს.-ნახ. *ჭომალ- „ლოყა“ (ვაინახ. «ჭონალ», შდრ. ოს. (← ვაინახ.) ძონღ „ყბა“, ბაცბ. ჭამალ „ლოყა“) “ ს.-სინდ. *ძამღუ- „ლოყა, ნიკაპი, ყბა“ (აფხ. ა-ძამჭუა, აბაზ. ძამ-უა, უბიხ. ძამლა „ლოყა, ნიკაპი“, ად. ჟაღუგ „ნიკაპი“, ყაბ. ზაღუ „ქვედა ყბა“) “ ს.-დალ. *ჯანალ- „ყბა“ (ხუნდ. ჩანალ, ანდ. ჩანალი „ყბა“);

(3) ს.-ქართვ. *ღინწუ-ა „გუთნის მჭრელი ნაწილი“ (ქართ. ღინწუ-ი „დანა მცირე და წვლილი“ (საბა), სვან. ღენწუ II ღანწუ-ი II ღენწუ-ი „კავი; გუთანი“) “ ს.-სინდ. *ღანწუ-ა „კავი“ (უბიხ. ღანცა „კავი“) “ ს.-დალ. *ღანწუ-ა „ძირა კბილი; რქა; კავი“ (ხუნდ. ღანწუ „კავი“, ახვ. ღუენწუი „ძირა კბილი“, თაბ. ღაღაღც ← *ღაც-ღაც „კავი“, უდ. ჯანცა „რქა“);

(4) ს.-ქართვ. *პაღუ- „კუზი“ (ქართ. პაღუ-, პაღუ-ი II პაღუ-ი „დიდი მუცელი“, ზან. (მეგრ.) პუხუ ← *პულვი „კუზი“) “ ს.-ნახ. *მულ- „კუდი“ (იჩქ. მულლა ← *მულ-ლა, ინგ. მულღ ← *მულ-ლა „საკუდური“, ბაცბ. მულ „კუდი“) “ ს.-დალ. *მალ(უ)- / *მიღ(უ)- „კუდი“ (ხუნდ. მალ, ანდ. მილ-ერჭ, ჭამ. მილა, კარ., ბოთლ., ბაგვ., ლოდ. მილა „კუდი“, ბეჟ., ჰუნზ. მილ „კუდი“, ლაკ. მალ „კუდი“, დარგ. (წუდ.) ბუგ-ნუა „ცხვრის კუდი“);

(5) ს.-ქართვ. *დღე-ღ „დღე“ (ქართ. დღე, ზან. დღა II ნღა, დღა-ს „არასოდეს“, სვან. ლა-დღე „დღე“) “ ს.-ნახ. *დაღ-უ „წვიმა“ (იჩქ. დუოლა II დოლა, ინგ. დუოღ II დოღ „წვიმა“) “ ს.-სინდ. *დღღ-ა „მზე“ (უბიხ. ნღღა, ად. თღღა, ყაბ. დღღა „მზე“) “ ს.-დალ.

*ლუად-ა „წვიმა; დღე; ვარსკვლავი“ (ხვარშ. ღუადა, ინხ. ღოდო, ბეჟ. თოდო ←*ლუოდო, ჰუნზ. ტედღ ←*ლუდღღ „წვიმა, დღე, ვარსკვლავი“);

(6) ს.-ქართვ. *ღეზ- „ჭრელი, ფერადი“ (ზან. (მეგრ.). ღაჟ-ო II ღაჟ-ურ-ია „ჭრელი; ფერადი“) ს.-ნახ. *ღაზ- „ლამაზი“ (იჩქ. ხაზ-ა ←*ღაზ-ენ, ინგ. ხოზ-ა ←*ლოზ-ა, ბაცბ. ღაზ-ენ „ლამაზი“ “ ჰურიტ.-ურარტ. ღაზ-ულა „კარგი, ლამაზი“ “ ს.-დალ. *ღოჟ-ე „კარგი“ (ჰუნზ. ჰონჟე ←*ღონჟე „კარგი“, თაბ. უჟუ ←*ღუჟუ, აღ. იჟე- ←*ღიჟე „კარგი“).

ს.-კავკ. *ზ

(1) ს.-ქართვ. *იცზ-არ- „ჩქარი წვიმა“ (ქართ. ისხარ-ი (საბა), ზან. ლეშხერ-ი „ერთგვარი წვიმა“, სვან. უჩხა II უჩხე „წვიმა“) “ ს.-ნახ. *ჩხარ- „ლორღი; ხიჭი“ (იჩქ. ჩხარ „ხიჭი“, ინგ. ჩხარ „ლორღი; ნატეხი ქვა“) “ ს.-სინდ. *ჩხტ- „წვიმა; სეტყვა; შარდვა“ (აფხ. აჩხტ-არ „მო-შარდვა“, აღ. ჳე-შხრგ-ნ, ყაბ. ჳე-შხგ-ნ „წვიმა“, უბიხ. თტა-შხ „სე-ტყვა“, შდრ. აღ. ტა-შხგ, ყაბ. ტა-შხ „წვიმა“, სადაც ტა- „ცა“) “ ს.-დალ. *ჩხტ- „შარდი; ნაკელი“ (ლეზგ. ჩუხ, თაბ. ჩუხ „შარდი“, რუთ. ჩუხტ-ან „ცხენისა და ვირის ნაკელი“, ხინ. ჩხ-ირ „გამხმარი ნაკელის გროვა“);

(2) ს.-ქართვ. *ლეხტ- „მდინარე; ხეობა“ (ქართ. რეხვი II რეხ-ი, ზან. (მეგრ.) ლეხ-ერა „ხეობა“) “ ს.-სინდ. *ხტ-ა „ხეობა, მდინარე“ (აღ. ფსგ-ხტ, ყაბ. ფსგ-ხტა, უბიხ. თტა-ხტა „მდინარე“, შდრ. აღ-ყაბ. ხტა-თ, ხტა-ტე „ღრმა ხეობა“) “ ს.-დალ. *რეხტ- II ნეხტ- „მდინარე, ნაკადული“ (ხუნდ. იხა ←*ნიხა, ახვ. ინხე, კარ. ენხე, ლოდ. ინხი „ღვარი, ნაკადი“, მდინარე“, ჰინ. იხუ, ხვარშ. ენხუ, ინხ. ენხუ, ბეჟ. ენხე, ჰუნზ. ენხუ „მდინარე, ნაკადული“ (ხუნდ. იხა ←*ნიხა, ახვ. ინხე, კარ. ენხე, ლოდ. ინხი „ღვარი, ნაკადი“, „მდინარე“, ჰინ. იხუ, ხვარშ. ენხუ, ინხ. ენხუ, ბეჟ. ენხე, ჰუნზ. ენხუ „მდინარე“, ლაკ. ინხ „მდინარე“, რუთ. ძუხ, აღ. რუხ „ნაკადული“);

(3) ს.-ქართვ. *სხტ-ერ- „მსხვრევა“ (ქართ. მ-სხვრ-ევა, ზან. (მეგრ.) დო-შხვარ-უა „დამსხვრევა, დაქუცმაცება“, სვან. მა-შხერ „ნაპობი“) “ ს.-სინდ. *სხტა- „ფხვნილი; ნაცრისფერი“ (აღ. შხტა, ყაბ. სხტა „რუხი, ნაცრისფერი“, უბიხ. შხტა „ფხვნილი“) “ ს.-დალ. *შახტ-ა „მტვერი“ (დარგ. შახტა „მტვერი, მიწა“, არჩ. შახტ- „და-

ქანგება; ქანგისფერი“);

(4) ს.-ქართვ. *ხტერ-ა „ხვადი“ (ქართ. (ლეჩხ.) ხვირ-ა „ხვადი კატა“, ზან. (მეგრ.) ხვანჯ-ა „მამალი ღორი დაუკოდავი“, სვან. ხტირ „ხვადი“) “ ს.-სინდ. *ხტე- „მამრი“ (აღ. ხტე, ყაბ. ხტე, უბიხ. ხტე „მამრი“) “ ს.-დალ. *ხტელ- „მამრი“ (ახვ. ხეჟე „მამრი“, მრ. რ. ხეერ-არ, ხვარშ. ხოლ, ინჟ. ხოლ, ლეზგ. ღჟლ „მამრი“);

(5) ს.-ქართვ. *ხახელ- „ბეჭის ან მხრის ძვალი“ (ქართ. (მესხ.) ხეხელა „ბეჭის ძვალი (ძროხისა)“, ზან. (მეგრ.) ხორხალ-ი „ბეჭის ან მხრის თავი“) “ ჰურიტ.-ურარტ. ხახლი „ლოყა“ “ ს.-დალ. *ხტახ-ენ „სახე; დრუნჩი; უკანა მხარე; ლოყა“ (ხუნდ. ხატენეხ „დრუნჩი“, ხუმუხა „სახე“, ჳამ. ხუნხუ „სახე“, ახვ. ხამახულ, ჰინ., ხვარშ., ინხ. ხუხ „სახე, ლოყა“, დარგ. ხუხ, წახ. ხვადგახ „უკანა მხარე“);

(6) ს.-ქართვ. *ორხ- „ნაქსოვი ქვეშაფენი“ (ქართ. ორხოვა II ორხუა II ორხაო „ხაოიანი საფენი, ქვეშაფენი“, ზან. (მეგრ.) ორხ-უუ II ორხ-ა „ქვეშაფენი“) “ ს.-ნახ. *ურხ- „ქსელი ქსოვილისა“ (ინგ. ურხ-ალ „ქსოვილის ქსელი“) “ *ურხ- II *ურუხ- „ძაფი; კერვა, ქარ-გვა“ (ხუნდ. უჰნ- ←*უჰნ- „მოქარგვა“, ანდ. რ-ახონ- „კერვა“, ლაკ. რ-ურუხა-ა- „კერვა“, მრ. რ. რ-ურუხა-უნუ, დარგ. ბ-ურხ; „კერვა“, ბ-არხარე „ძაფი, მკედი“, თაბ. -ირხ- „კერვა“, რუთ. უხურ „ძაფი“, წახ. უხარა, ბუდ. ხირი „ძაფი“, ხინ. მიხეზ ←*მიხერ „ნემსი“).

ა ლ ე ქ ს ი ჰ ი ნ ჰ ა რ ა უ ლ ი

კიდევ ერთხელ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სადაურობისათვის

ამ საკითხზე ადრეც ვწერდი. ტექსტოლოგიაში აღიარებული მეთოდია: თუ ტექსტის ავტორი უცნობია, იმავე ავტორის სხვა წერილობითი ძეგლი ანდა ამ ავტორის დიალექტი დაგვემხარება საკითხის გარკვევაში. მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ: „დახედენ დარბაზის ერთა, შევლენ ისფრითა ღებულნი“ რიგითი მკითხველისათვის ეს სიტყვა გაუგებარია. აღმოჩნდა, რომ ქართული მრავალრი-

ცხოვანი დიალექტებიდან **ისფერი (ისფრით, ისფრად...)** მხოლოდ ინგილოურ დიალექტში დასტურდება. უცხო ენების (თურქული, არაბული, სპარსული...) ლექსიკურ-მორფოლოგიური ნასესხობით გაჯერებულ დიალექტში „ვეფხისტყაოსნის“ რაიმე ნიშანწყლის ძებნა ნონსენსად ჩანდა. მაგრამ ამ კილოს იმდენი რამ აღმოაჩინდა ამ გენიალურ პოემასთან საზიარო, რომ ამ წერილის ავტორისათვის პოემის ავტორი რუსთველი უდავოდ ჰერეთის (რესპ. საინგილოს) მკვიდრია.

გვაქვს უფრო სარწმუნო ცნობებიც:

ხევსურულსა და ინგილოურში ზმნა **დატოვება** არ არსებობს. ეს ზმნა არც „ვეფხისტყაოსანშია“.

ინგილ.: **„დაგდევა** დატოვება, მიტოვება: „პურ გათიბას უკან მიწას კედემ აბრუნევენ, აგდევენ, ფაფიბე პურ დაათესელა (ტოვებენ, შემოდგომისთვის პურის დასათესად); აღრიან განახალ ვაზზე კუკურევს ნამეტნავ აგდევენ (კვირტებს ზედმეტად ტოვებენ), სიცივე ზოგს დააბრმივევლიავ (გაახმობსო), ზოგს — აარავ; კარევ ფარლიათ ჰაბე დნავდი? (კარები ფარლალა რატომ დატოვე?); ქალ გაოჟდა კარში, ყონალ ჩემთან დაავდა (სტუმარი ჩემთან დატოვა) (1).

ხევსურული:

„დავდება დატოვება, აღვანჩი ამბავ დაავდი: „ჩათმაში დავცნეს ცანიო“ (ხევს. პოეზ. 211, 40); დავავდა ჯონის ორწყალში, ღამეთ ათენებ გმინთა (ხევს. თავისებ. 388, 33);, ცხენის ლურჯაის წამყვანო, **დავავდა** ბოსლის კარზედა (ხევს. თავისებ. 374, 12) (2).

ამათი საპირწონე ფორმები „ვეფხისტყაოსნიდან“:

„ჩემ წილ **დავავდებ** პატრონად, თავადად ჩემთა სპათასა“ (154; 156/155);

„თვარა ღამითვე ტვირთები შენი წაილე ვირითა,

დავადე ჩემი მიდამო, სრულიად მიკრიფე, მი-, რითა“ (1104; 1108).

„მაგრა **დავდება** უმიძიდა ფატმანის გულმწუხარისა!“ (1320; 1325);

ოცდაათზე მეტჯერ არის ეს ზმნა ნახმარი პოემაში, ამ ერთი ზმნის ანალიზის შედეგად დგინდება:

ა) ჰერულ-ინგილოური და ფხოური დიალექტები არ იცნობენ

ზმნა **დატოვებას**. ამ ზმნას არც „ვეფხისტყაოსანი“ იცნობს.

ბ) ამ დიალექტებსა და „ვეფხისტყაოსანში“ **დატოვებას** ცვლის **დავდება**.

გ) სხვა ქართულ დიალექტებზე ეს კანონზომიერება არ ვრცელდება.

დ) ამ კანონზომიერების შემთხვევითობად მიჩნევა ნონსენსია.

ამის გარდა, „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება აშკარად ჰერულ-ინგილოური შესიტყვებები. მათში **იქმს** ზმნა უწყვილდება რომელიმე ზმნის მასდარს:

„მეფე **სმასა და ჰამასა იქმს**, მეტად მოილხინებდა“ (51; 52/ 51);

„ბრძანე, ვისროლოთ, ნუ **იქმო შედრეკილობა-კლებასა**,

კარგთა კაცთასა **ვიქმოდე** მოწმად ჩვენთანა **ხლებასა**“ (68; 69/ 68)

„ამა საქმესა **ვერა ვიქმ** მე **განლობასა** სხვათასა“ (154; 156/ 155);

„თვით **ვიქმ** ხელითა ჩემითა ამა **წიგნისა წერასა**“ (165; 167/ 166);

„ჰკადრე, თუ: „სპარსთა **ვერა ვიქ** ინდოეთისა **ჰამასა**“ (542, 647/ 349);

„აწ ვეძებ მისთა წამალთა, **ვიქმ იქით-აქათ ბრუნვასა**“ (999; 1007);

„კვლა ფრიდონ ჰკადრებს მეფესა: „**ნურათ იქთ გამწარებასა**“ (1559; 1457/ 1458);

„აწ დადევ, იქი ნუ მოხვალ, **იქმცა** უჩემოდ **ხალვასა**“ (1507; 1511/ 1512).

პროფ. როგნედა ღამბაშიძის „ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონში“ (1988 წ.) 460 გვერდიდან 464 გვერდამდე აუარებელ ასეთ შესიტყვებას იპოვის მკითხველი.

რაკი რუსთველი ზემოთ დამოწმებული სიტყვების თუ შესიტყვებების ავტორია, ის არის ჰერეთის მკვიდრი.

ფუძედრეკად ზმნათა მიმღობური ფორმების წარმოებისათვის სვანურში

სვანურში, დროის გამოხატვის თვალსაზრისით, აწმყოს, მყოფადისა და ნამყოს მიმღობებს გამოყოფენ (ვ. თოფურია, აღ. ონიანი, ზ. ჭუმბურიძე...). მიმღობურ მაწარმოებლებად მიიჩნევენ როგორც პრეფიქსებს, ასევე კონფიქსებსაც. კონფიქსით ნაწარმოებ მიმღობებში -ე და -ი სუფიქსთა განაწილება დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ალომორფია წარმოდგენილი პირიან ფორმათა აწმყოს მწკრივში (ეს იძლევა საფუძველს, რომ მხოლოდ პრეფიქსი ჩაითვალოს მაწარმოებელ მორფოლოგიურ ერთეულად). სამეცნიერო ლიტერატურაში სვანური მიმღობური აფიქსები შემდეგნაირად არის დაჯგუფებული:

აწმყო: მგ- || მუ-, მგ- || მუ- — ე, მგ- || მუ- — ი, მე-, მო-, მე — ე.

მყოფადი: ლე-, ლე — ე, ლე — ი, ლა-, ლა — ა, ლა- — ი.

ნამყო: ლგ- || ლუ-, ლგ- || ლუ- — ე, ლგ- || ლუ- — ი, მგ- ||

მუ-, მგ- || მუ- — ე, მგ- || მუ- — ი, ნა- — [ჟ].

საკლასიფიკაციო ნიშნის აღრევის თავიდან ასაცილებლად უარყოფითი (უ- — ა), რომელსაც დროული გაგება ნაკლებად აქვს, შეტანილია ნამყოს მიმღობათა რიგში, როგორც წარსულში შეუსრულებელი მოქმედების აღმნიშვნელი. ამ დაჯგუფების მიღმა მაინც რჩება მიმღობები) მასალის, დანიშნულების...), რომლებიც დროულ დაპირისპირებას არ გამოხატავენ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „მიმღობის დრო არა დამოუკიდებელი დროა, როგორც პირიან ფორმებში საზოგადოდ, არამედ მიმართებითი“ (ა. შანიძე). ასევე საეჭვოდ არის მიჩნეული მიმღობებში გვარის მიხედვით კორელაცია.

სვანურში ფუძედრეკად ზმნათა მიმღობები ძირითადად წარმოების ზოგად წესს მიჰყვებიან, მაგრამ რადგანაც ამ ენაში ფუძის ფლექსია მკვეთრად ჩამოყალიბებული მოვლენაა, ამიტომ სახელ-ზმნურ წარმოებაში მოსალოდნელია თავისებურებათა გამოვლენა. კერძოდ, თუ ქართულში ფუძედრეკადთა ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღობები -ე-ს შეიცავენ (დრეკილ, წყვეტილ...), სვანურში პა-

სივის მიმღობები უშუალოდ ვნებითის ფუძეს ეყრდნობიან, რისი დამადასტურებელიც არის ლენტეხური დიალექტის ურედუქციო ფორმები:

დეგ-ნი „ქრება“ — მე-დე-ე „ჩამქრალი“ ← მე-დე-ე ლნტ.

რელუ-ნი „ირღვევა“ — მე-რელუ-ე „დარღვეული“ ← მე-რელუ-ე ლნტ.

ნეკუ-ნი „იხრება“ — მე-ნეკუ-ე „მოხრილი“ ← მე-ნეკუ-ე ლნტ.

გეკ-ნი „ძლებს“ — მე-გეკ-ე „გამძლები“ მე-გეკ-ე ლნტ.

ფუძეში -ე-ს გამოივლენენ ოდენბრეფიქსიანი მიმღობებიც: მე-დეგ „ის, რომელიც ჩაქრება“, მე-ქეს „ის, რომელიც გაიწევა“, მე-ქუერ „ის რომელიც დაღებება“, მე-ბეკუ „ის, რომელიც გასკდება“ ვნებითის ფორმათა საპირისპიროდ გვაქვს მოქმედებითი გვარის მიმღობები:

ფიშე-ე „ხსნის“ — მე-ფიშე-ე „გამხსნელი, მომხსნელი“

ფხიყ-ე „შლის“ — მე-ფხი-ე „დამშლელი“

ცილ-ე „ხევის“ — მე-ცილ-ე „დამხევი“

ცუირ-ე „ტოვებს“ — მუ-ცუირ-ე „დემტოვებელი“ და სხვ.

ამ ტიპის მიმღობები ლენტეხურშიც რედუცირებული ფორმით არიან წარმოდგენილი (ლნტ. მე-ფიშე-ე, მე-ფხიყ-ე...), მაგრამ გვაქვს აინან || -ან დართული მიმღობები, სადაც ძირისეული აქტივის აი- ხმოვნის აღდგენა ხდება, რაც ადასტურებს, რომ ისინი მოქმედებითის ფუძეს ეყრდნობიან:

ბზ. მუ-ქუიც-იან „მჭრელი“

ლშხ. მუ-ბიკუ-იან „გამხეტქი“

ლნტ. მე-ფიშე-იან „გამხსნელი“

ბალსქვემოურ დიალექტში გავრცელებულია -ან დართული ფორმები, განსაკუთრებით, წყევლის ფორმულებში:

მგ-კიდ-ან „ამომწყვეტი“, მუ-ბიკუ-ან „გამპობი“

მუ-ყუიფ-ან „გამფუფქი, ამომძირკვაგი“

მგ-შდის-ან „ამომთავებელი, ამომწყვეტი.

მა მიჩა მგკიდან ი მგშდისან ხაკუ?! „რა მისი ამომწყვეტი და ამომთავებელი უნდა?!“

მყოფადის მიმღობებში პასივის -ე- ხმოვანია გამოვლენილი (ლე-ტეს „დასაბრუნებელი“, ლე-ბეკუ „გასასკდომი“), ხოლო კონფიქსით ნაწარმოებში ძირისეული ხმოვანი რედუცირებულია (ლენტეხურშიც კი), თუმცა აქაც -ე- უნდა ვივარაუდოთ. მით უფრო, რომ

ლენტეხელმა ინფორმატორმა დაგვიდასტურა **ლე-ბეკაშ-ე, ლე-ფეშკ-ე...** ფორმებიც.

ზემოჩამოთვლილი თავისებურებანი ადასტურებს, რომ ე. წ. მეორე უღლების ზმნები, ანუ ფუძედრეკადები მიმდებარა თა წარმოებაში არაფუძედრეკადთაგან განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ.

ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

ავტორისეული ფრაზა პირდაპირ ნათქვამთან რ. ინანიშვილის ენის მიხედვით

რ. ინანიშვილის მხატვრულ პროზას ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს როგორც ლექსიკით, ისე მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ინდივიდუალური, ლაკონური სინტაქსური კონსტრუქციებით.

ამჯერად ჩვენს ყურადღებას გავამახვილებთ პირდაპირ ნათქვამთან (მიმართვის ფორმები, დალოცვის, წყევლის ფორმულები...) დადასტურებულ ავტორისეულ წინადადებებზე, „რომლებიც წარმოგვიდგენს ამ ნათქვამის ავტორს ან საუბრის თანმხლებ სიტუაციას“ (შ. აფრიდონიძე).

ავტორისეული წინადადება (გაუვრცობელი, გავრცობილი, შერწყმული, თანწყობილი, იშვიათად ქვეწყობილიც):

1. შეიძლება პირდაპირ ნათქვამს წინ უსწრებდეს:

გოგამ მაინც დაუძახა — შოშმან, ე, შოშმან (მთვარის ასული, თბ., 1987). **თოვლს თათმანიანი ორივე ხელი ამოჰკრა, ბიჭებს გადააყარა და დაიძახა:** — ასე თეთრად დამიბერდით (შორი თეთრი მწვერვალი, თბ., 1976).

რ. ინანიშვილი ასეთ შემთხვევაში მიმართავს სახელდებით წინადადებასაც, რითაც ფრაზის რიტმულობას აძლიერებს.

ხნიერი ქალი: ეგ არის ჩემი სამშობლო, მანდ ცხოვრობს ჩემი საწყალი გვარი (პატარა ბიჭი გოლგოთაზე, თბ., 1989). **მერე ბებია** — გაფხრეწა და გაგლეჯა (მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან,

თბ., 1958). **მეწისქვილე ჩემდაგასაოცრად, გაღიმებული, ენადამტკბარი:** ეს რა კრაზანა ბიჭი ჰყოფილხარ, რა უქენი იმოდენა კაცსაო (ბარისაყენ მოფრინავს ჯაფარა, თბ., 1974).

2. ავტორისეული წინადადება პირდაპირ ნათქვამს შუაზე კვეთს:

იჯექი, რა, წესიერად, — **ეუბნებოდა კაცს,** — ბუზანკალი ხარ თუ რა ხარ (შორი თეთრი მწვერვალი, თბ., 1976). — კიდევაც იცი-ნი?! — **დააჯდა ზემოდან ჭიჭო და მუშტი მოუღერა,** — ცხვირ-პირი უნდა ამოგინაყო! (შორი თეთრი მწვერვალი, თბ., 1976).

3. ავტორისეული წინადადება მოსდევს პირდაპირ ნათქვამს. ასეთ შემთხვევაში ფრაზა მაქსიმალურად დაწურულია, რადგან პირდაპირი ნათქვამით უკვე გადმოცემულია შინაარსი; ძირითადად ორწევრიანი წინადადებებია გამოყენებული. ხშირ შემთხვევაში კი, ქვემდებარედ გარეკახეთში გავრცელებული ანთროპონიმები (გაბრო, ლაღუშა, გოგია, დათია, ბეჟანა, თევდორე, მისა, იოსება, თედია, ყარამანა, ჭიჭო,... მაია, თინა, ელენე, მაყვალა, ირინე, მაკრინე, ეფემია და სხვ.) დასტურდება, რაც ფრაზის კოლორიტულობას ხაზს უსვამს.

დიდი კორძი შენს ენასა, მართა, დიდი კორძი! — **ამოსძახის კატო** (მთვარის ასული, თბ., 1987). — ბოლმაგ! — ბოლმაგ! — **რალაც თავისებური ალერსით ეუბნება ბეჟანას** (ბარისაყენ მოფრინავს ჯაფარა, თბ., 1974). — ე, — უკულმართების ანგელოზო — **თავს გაჰყოფს მძლოლისაყენ** (საღამო ხანის ჩანაწერები, თბ., 1973).

4. იშვიათად ავტორისეული წინადადება სამივე ზემოდასახელებულ პოზიციამი დასტურდება:

ოსის პატარა ბიჭუნა... ხანდახან მოიხედავდა შუბლშეჭმუნული, — რა იყო, რა ამბავში ხართო, **მაგრამ რაკი ნახავდა, ხალხი თავისას განაგრძობდა,** — თავში ქვა გიხლიათო, — **და ისევ გარეთ დაიწყებდა ყურებას** (ცისფერი გორგალი, თბ., 1968). — ბიჭოო, — თქვა მამამ, — აბა, მომხედე, რა ამბავი გაქვს შენაო! — თან ისეთი ნაპერწკლები აუციმციმდა თვალბში, ვეღარ მოვითმინე, გაგქანდი და კისერზე ჩამოვეკიდე (შორ. 16,17).

5. ყველა ზემოდასახელებულ შემთხვევაში შემასმენელი, ძირითადად, იწყებს ან ამთავრებს ავტორისეულ წინადადებას, მაგრამ მისი ადგილი მაინც მკვეთრად გამოხატული არ არის. იგი სხვადასხვა

პოზიციაში შეიძლება შეგვხვდეს. არსებითია ის, რომ „ავტორისეული რემარკის შემასმენელი და პირდაპირი ნათქვამი უშუალოდ უკავშირდება ერთმანეთს“ (შ. აფრიდონიძე).

ბიჭები ფაცურობდნენ — რამ გაგაშტერა, აბუეტო? (შველი ზამთარში, თბ., 1986). **გამოუღრინა ჯამბაზის ბიჭმა**, — ე, ბნელოო! (ალერსი შიშიანობის დროს, თბ., 1986). **და აქ მეხვიით გავარდა ადამიანის ხმა**: „ჰა, თავმკვლარო“ (შორი თეთრი მწვერვალი, თბ., 1976). ხაფანგს არაფერი სჯობია — **ამბობდა ჭანჭლე გიორგი** (მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან, თბ., 1958). შენა, შე ფაშისტო! — **პირდაპირ ცხვირთან უტრიალებდა ქვას ირინე** (სალამო ხანის ჩანაწერები, თბ., 1970).

რიგ შემთხვევაში პირდაპირი ნათქვამი ავტორისეულ წინადადებებსანთან ერთად წარმოდგენილია სხვათა სიტყვით, (განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ავტორისეულ წინადადებას მოსდევს). „ასეთი სხვათა სიტყვა ერთგვარი შუალედური საფეხურია პირდაპირსა და ირიბ ნათქვამს შორის... ავტორისა და პერსონაჟის ნათქვამის ამგვარი დაახლოება, ანუ სუბიექტურ-ობიექტურ პლანთა კონტამინაცია, ექსპრესიული სინტაქსის სტილისტიკური ხერხია, რომელსაც ჩვენი მწერლები იყენებდნენ თუ უფრო ადრე არა, XI — XII საუკუნეებში მაინც (ნ. ბაბალიკაშვილი, ლ. კვანტალიანი).

ღმერთმა აცნობოსო, — ვიღაც დიდ კაცზე ამბობდა (ბარისაკენ მოფრინავს ჯაფარა, თბ., 1974). **მიუგო გიორგიმ და ამაყად გადახედა ხალხს**, — ჩემმა ჭკუამ ხომ აჯობა თქვენსასო (შორი თეთრი მწვერვალი, თბ., 1976). **ქალი თუ იტყოდა, ისიც თავისთვის**: — **აი, მიწა დავაყარე შენს ფულს და ცხოვრებასაცაო** (ტ. I, თბ., 1953-1968). — **შენი მიწის დაყრაო! შენი პირქვე დამარხვაო!** — **იწივლა ხელგაკავებულმა მაყვალამ** (ალერსი შიშიანობის დროს, თბ., 1986).

ნინო ჭუმბურიძე, მარინა კიკონიშვილი

კინობითობის წარმოების თავისებურებანი ქართულში

როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულში კინობითი სახელები ნაკლებად გამოიყენება და ძირითადად დამახასიათებელია ცოცხალი სასაუბრო მეტყველებისათვის. ფუნქციური თვალსაზრისით კინობითობა მრავალ ნიუანსს მოიცავს: გამოხატავს სიმცირეს (თავუნ-ა, ქალ-უკ-ა...), დაცინვას (ყრ-უჩ-უნ-ა, გლენ-უჭ-ა...), ალერსს (მამილ-ო, ბებ-იკ-ო...), რაიმე თვისების მქონებლობას (ჩუმ-ალ-ა, ბუმბლ-უჭ-ა...), მსგავსებას (ყაჩად-ან-ა, მამა-ილ-ა...) და სხვ.

როგორც ჩანს, ამ დროს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ფუძის სემანტიკას. ზოგჯერ ალერსობითი ემოციურ-გამომსახველობითი იერი ეძლევა ნაწარმოებ სახელს, რომლის ფუძე კინობით სემანტიკას ვერ იგუბებს, ხოლო თუ ფუძის სემანტიკასთან ალერსის გამოხატვა შეუთავსებელია, მაშინ კინობითობის მაწარმოებლის დართვით სიტყვა დამცირების ელფერს იძენს.

კინობითი სახელები მაწარმოებელთა სიმრავლითაც გამოირჩევა. გვაქვს მარტივი სუფიქსები (-აკ, -იკ, -ოკ, -უკ, -ან, -ინ, -ონ, -უნ, -ატ, -იტ, -ოტ, -უტ და ა. შ.) და მათი კომბინაციებით მიღებული რთული სუფიქსები. შესაბამისად გვაქვს ერთსაფეხურიანი, ორსაფეხურიანი და სამსაფეხურიანი წარმოება. რთული სუფიქსების ბოლო შემადგენელი კომპონენტი თითქმის ყოველთვის **-ა** სუფიქსია (-უკ-ან-ა, -უც-უნ-ა, -იკ-ელ-ა...). მარტივი სუფიქსებით ნაწარმოები სახელები ძალზე იშვიათია. მათში სუფიქსი გაქვავებული სახით არის წარმოდგენილი, მათი კინობითი შინაარსი კი ნათლად არ არის გამოვლენილი (კეკლ-უც-ი, კა-უჭ-ი, გორ-ობ-ი...).

გაქვავებული სახით კინობითობის სუფიქსები გამოიყოფა სხვადასხვა დიალექტურ ფორმაში (ქერ-ეჭ-ი, კინჭ-უნ-ი...), საკუთარ სახელებსა (ბიჭ-ინ-ა, კოკ-ინ-ა...) და გვარებში (ბახ-უტ-ა-შვილი, კაკ-უჩ-ა-შვილი...).

სიტყვა მსხემ-ის ისტორიისათვის

ცნება ადამიანის აღსანიშნავად ძველ ქართულ ლიტერატურულ წყაროებში ძირითადად სიტყვა **კაცი** გვხვდება. ასევე გამოყენებულია ხატოვანი (მეტაფორული) სახეები, რომლებიც ფილოსოფიურ-თეოლოგიური სწავლების შემცველია, რაც ნათლად ჩანს შემდეგ მაგალითებშიც: „სოფელი მცირე“, „ტაძარი უფლისა“, „მიწა შეურაცხი“, „მცენარე ზეცისა“, „ადრეჰნობადი ყუავილი“, „ცხოვარი წარწყმედული“, „ჭური თვთმობრაგი“, „წუთისოფლის მგზავრი“, „ნამობნი ურჩებისანი“ და ა. შ. მათ შორისაა სიტყვა „მსხემი“, რომელიც მხოლოდ ძველ ტექსტებში დასტურდება „საწუთროში მცხოვრების“, „ადამიანის“ მნიშვნელობით:

„სხემ-ი II **მსხემ-ი** ერთის ადგილით აყრილი და მეორეს ადგილს გადასახლებული კაცი ბოგანო, ეგრეთვე, **ამ საწუთოს სოფელში მცხოვრებთ** ნიშნავს (საღმრთო წერილი): „ვითარცა მსხემ და წარმავალ ვართ“ (დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომი), შდრ. სულხან-საბა: „**მსხემი** ესე არს, რომელი უმკვიდროთა და სხვათა ადგილთა გამოიზრდებოდეს და ადრე წარმავალ იყოს, ხოლო **მწირი** სხვაგან გამოიზრდებოდეს და გვიანად წარმავალი იყოს და არა დამკვიდრებადი“... **გმსხემობ** მსხემად ვალ ძ (სულხან-საბა).

ზურაბ სარჯველაძის განმარტებითაც **მსხემი** „უცხო; მწირი“-ა, **მსხემობა** „ხიზნობა“, **მსხემ-ყოფა** „გაძეგება“ (ძველი ქართული ენის სიტყვის კონა).

ილია აბულაძის ლექსიკონში კი **მსხემ-** სიტყვის სხვადასხვა, განსხვავებული მნიშვნელობებია დადასტურებული: **მსხემი** „შინ მყოფი“, „მწირი“, „მოსრული“, „დამონებული“, „დამკვდრებული“, უცხო, ყარიბი...

მსხემობა ყარიბობა, უცხოობა: შვილნი მსხემობისანი , (II ეზრა, 8,35).

მსხემობა „მწირობა“, „მკვდრ ყოფა“, „მკვდრობა“, „დამკვდრება“...

მსხემ II **სხემ-ყოფა** „მკვდრობა“, „მწირობა“, „წარტყუნვა“ და ა. შ. ...

სიტყვა **მსხემ-ი** და **მსხემობა** ძველი ალექსისა და ფსალმუნთა წიგნებიდანაა უფრო ხშირად დამოწმებული: „**მსხემ** ვარ შენ წინაშე წარმავალ“ ფსალმ. 38,13; „იყვნეს იგინი რიცხვთ მცირედ-მცირედ და **მსხემ მას** ზედა“ ფსალმ. 104,2... „მოქცევისათჳს ერისა ბაბილონით **მსხემობისა** მისგან“ ფსალმ. 120.

სხემ-ი II **სხემ-ი** (მსხემობა) ს ხ მ ა (განსხმა „გაძეგება“) ზმნი-საგან უნდა მომდინარეობდეს. **მსხმა**, როგორც ყველასთვის კარგადაა ცნობილი, პოლისემანტიკური ზმნაა (იხ. არნ. ჩიქობავა, აკ. შანიძე, ივ. ქავთარაძე...) და თავის თავში მოიცავს უკვე ისეთ საპირისპირო მნიშვნელობებს, როგორცაა „დამკვიდრება“ და „გაძეგება“ (ტიპოლოგიურად შეიძლება ლტოლვა (ლტოლვილი) გავიხსენოთ). თუმცა მთავარი, ამოსავალი მნიშვნელობა მაინც უნდა იყოს „განსხმა, გაყრა... გატყორცნა, გაძეგება (მრავლის)... (შიგნიდან — გარეთ, ერთი ადგილიდან — მეორე მიმართულებით).

მსხემი ისაა, *ვინც განიდეგნა, გააძეგეს... ეს სწავლაც ბიბლიიდან მოდის: ადამი სამოთხიდან იქნა გამოძეგებული და მასთან ერთად, მთელი კაცობრიობაც დევნილია... „ოდეს-იგი ჭამა [აღამმა] მისგანი, განშიშულდა, გ ა ნ ი ძ ო ი გ ი სამოთხით ღმრთისაჲ“ (სწავ. 27, 9). და როგორც სახელი **ადამი** გახდა ადამიანის აღმნიშვნელი (ცნების განმსაზღვრელი), ასევე **მსხემი** — „სამოთხიდან გამოძეგებული ადამიანთა, საწუთროს მკვიდრთა, წუთისოფელში მცხოვრებთა“ სახელი უნდა იყოს.

თანამედროვე პრესის (ჟურნალების) ენა და მასთან დაკავშირებული პრობლემები

ბოლო პერიოდში ქართულ პრესას უამრავი ახალი ჟურნალი შეემატა. ფაქტი თავისთავად მისასალმებელი იქნებოდა, რომ არა ერთი პრობლემა — ეს ამ გამოცემების გაუმართავი, დაბინძურებული, ჩიქორთული და ბარბარიზმებით სავსე ენაა, რომ არაფერი ვთქვათ უამრავ კორექტურულ შეცდომაზე...

ჟურნალისტებთან საუბრის შემდეგ გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი პრობლემა, რომლებიც აღნიშნული სავალალო მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებად შეიძლება ჩაითვალოს;

1. ხელმძღვანელობის მიერ სტატიის უმცირეს დროში დაწერის მოთხოვნა;
2. შეუფერებელი სარედაქციო პირობები, რომლის გამოც ჟურნალისტებს საშუალება არა აქვთ, თავიანთი ნაწერის კორექტირება სათანადოდ შეასრულონ;
3. რესპონდენტის მიმართ ჩამოუყალიბებელი სარედაქციო დამოკიდებულება — როგორ უნდა გადმოიცეს მისი ინტერვიუ — უცვლელად თუ გასწორებული? ამ უკანასკნელ შემთხვევაში, რა ეტაპამდე შეიძლება მიდიოდეს ინტერვიუს ქართულად გამართვის მცდელობა?
4. ძირითადი სამუშაოს კორექტორზე გადაბარება, რის შედეგადაც, უკეთეს შემთხვევაში, ხდება მთელი გამოცემის ენის (ჟურნალის, გაზეთის და ა. შ.) ერთ, მშრალ სტილზე დაყვანა; უარეს და უმეტეს შემთხვევაში კი კორექტორი ვერ ახერხებს მთელი ჟურნალის მასალის ორთოგრაფიულ-სტილისტიკურად გამართვას.

რაც მთავარია, სავალალოა ჟურნალისტების დაბალი პროფესიონალიზმი და საქმისადმი აგდებული დამოკიდებულება, რაც, საბოლოო ჯამში, აისახება კიდევ ქართული ჟურნალების ენაზე, სადაც უამრავი ორთოგრაფიულ-სტილისტიკური თუ კორექტორული შეცდომა გვხვდება.